Коэффициенты $a_i, i = \overline{1, n}$ будем определять из условия наилучшего приближения Гаусса (20) (хотя, можно определять их и из формул Паде). В этом случае на основе программного пакета *Mathcad*, составляем программу:




Рис.11. Сравнение графика Паде аппроксимации и динамических данных

Как явствует из рис.11, Паде 1/1 аппроксимация дает достоверные результаты для первых 10 значений гипотетических данных дебета, но значительно расходятся значения данных последних двух месяцев.

4. Анализ данных стоимостной динамики

Рассмотрим математическую модель стоимостной динамики компании (8) с учетом $\delta = 1$ и полученных соотношений $\beta(t)$, $F[X(t)]$:

$$\ddot{X}(t) + \frac{\dot{\beta}(t) + \beta - 1}{\beta(t)} \cdot \dot{X}(t) - \frac{F[X(t)] + X}{\beta(t)} = 0, \quad (25)$$

$$F[X(t)] = 0.25 + 0.534 \cdot X(t) + 9.475 \cdot (X(t))^2 - 0.004 \cdot (X(t))^3, \quad (26)$$

$$\beta(t) = 0.103 \cdot t + 1.223, \quad (27)$$

получаем уже определенную динамическую систему, для временного ряда данных стоимостной динамики выбранной компании.

Вводя соответствующие обозначения, перепишем систему уравнений (25), в нормальном виде:

$$\begin{cases} \dot{X}_0 = X_1 \\ \dot{X}_1 = \frac{1-\beta-\dot{\beta}}{\beta} \cdot X_1 + \frac{F[X_0]+X_0}{\beta} \end{cases}, \quad (28)$$

к этим уравнениям надо присоединить соотношения (26), (27) и начальные условия (9).

В этом случае на основе программного пакета **Mathcad**, составляем программу для решения задачи (25),(26),(27),(9):

$$F(X) := 0.25 + 0.534 X + 9.475 (X)^2 - 0.004 (X)^3$$

$$\beta(t) := 0.103t + 1.223 \quad ic := \begin{pmatrix} 2500 \\ 500 \end{pmatrix}$$

$$D(t, X) := \begin{pmatrix} X_1 \\ \frac{1 - \beta(t) - \frac{d}{dt}\beta(t)}{\beta(t)} \cdot X_1 + \frac{F(X_0) + X_0}{\beta(t)} \end{pmatrix}$$

$$S := \text{Rkadapt}(ic, 0, 100, 300, D)$$

$$i := 0.. \text{last}(S^{(0)})$$

$$t := S^{(0)} \quad X(t) := S^{(1)}$$




Рис.12. Стоимостная динамика




Рис.13. фазовый портрет системы

Как явствует из рис.12 и рис.13, мы имеем устойчивый динамический процесс. Стоимость данной компании, начиная с 2500 единиц, колеблется и устанавливается через 20 месяцев на уровне 2380 единиц.

5. Заключение

Таким образом, мы разработали аналитическую методику динамического анализа изменения стоимости компании, при наличии временного ряда данных чистых активов и долга, или стоимости компании и чистых активов за определенный временной промежуток.

Литература:

1. Обгадзе Т.А., Тушишвили Н.З. (2006). Математическое моделирование экономических циклов, XIV международная конференция, тезисы докл., Математика. Экономика. образование. 29 мая - 5 июня, Новороссийск. стр. 156-157
2. Обгадзе Т.А., Цвараидзе З.Н. (2006). Лабораторные работы по курсу математическое моделирование в экономике, учебное пособие, ГТУ. Тбилиси.
3. Обгадзе Т.А., Тордия Н.П. (2007). Обобщённая математическая модель экономической динамики, в рамках равновесной экономики Кейнса. Материалы 2-ой междуна. конф., MMSSED. Москва. стр. 56-62
4. Обгадзе Т.А., Обгадзе Л.Т., Тушишвили Н.З., Мchedlishvili Н., Давиташвили И. (2007). Курс математического моделирования (экономикс на основе Mathcad и Matlab). Т.2, ГТУ. Тбилиси.
5. Обгадзе Т.А. (2010). Курс математического моделирования (колебательные процессы). Т.4. ГТУ. Тбилиси.
6. Обгадзе Т.А., Тушишвили Н.З. (2010). Вейвлет-анализ макроэкономических показателей социально-экономической системы Грузии, Сб.научн.тр. АН Грузии Инст. Проблем управления им. А.И. Элиашвили, № 14, Тбилиси. стр. 245-254
7. Обгадзе Т.А., Тушишвили Н.З., Яшвили Л. (2010). Анализ макроэкономических показателей Грузии на основе математической модели Прангишвили-Обгадзе, сб.научн. тр. ГТУ, АСУ, №2(9). Тбилиси. стр. 7-18

8. Обгадзе Т.А., Биченова Н.М. (2011). Обобщенная математическая модель экономической динамики, сб. научн. тр. ГТУ, АСУ, №2(11). Тбилиси. стр. 22-27

9. Обгадзе Т.А., Биченова Н.М. (2012). Курс математического моделирования (социально-экономические процессы). Т.5, ГТУ, Тбилиси.

10. Обгадзе Т.А., Гоголадзе В.Р. (2013). Математическое моделирование экономической динамики стоимости строительной компании. Сб. научн. тр. ГТУ, АСУ, № 2(15), Тбилиси. – стр. 164-169

11. Обгадзе Т.А., Гоголадзе В.Р. (2013). Математическая модель экономической динамики стоимости строительной компании. Матер. XXVIII междунар. заочной научно-практической конф. 14 августа: «Экономика и современный менеджмент: теория и практика», Новосибирск. стр. 99-107

MATHEMATICAL MODELLING OF DYNAMICS OF COST OF THE COMPANY

Obgzadze Tamaz, Gogoladze Ramaz, Bichenovi Nana

Georgian Technical University

Summary

In work, for studying of dynamics cost's of the company, the mathematical model is under construction, and are studied private a case of the constructed model which show the width of coverage of processes of various complexity. On the basis of the regression analysis, functions for the defining model parameters are based, dynamics of this (hypothetical) temporary number of data, changes of cost of the company is studied eventually.

კომპანიის ღირებულების დინამიკის მათემატიკური მოდელირება

თამაზ ობგაძე, რამაზ გოგოლაძე, ნანა ბიჩენოვი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში, კომპანიის ღირებულების დინამიკის შესასწავლად აგებულია მათემატიკური მოდელი, შესწავლილია აგებული მოდელის კერძო შემთხვევები, რომლებიც ადასტურებენ მოდელის მიერ მოცული არეალის სიფართოვეს. რეგრესიული ანალიზის საფუძველზე იგება სისტემის განმსაზღვრელი პარამეტრებისათვის შესაბამისი ფუნქციონალური დამოკიდებულებები. აგებული მოდელის ბაზაზე, შესწავლილია მოცემული ჰიპოთეზური ღირებულებათა დროითი მწკრივის დინამიკა.

მანქანური სწავლების კლასიფიკაციის ალგორითმებში შემავალი ინფორმაციის ფორმირება

ზურაბ ბოსიკაშვილი, დავით ჭოხონელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მანქანური სწავლების ძირითადი მიზანია რაიმე სისტემაზე დაკვირვება. არსებული სისტემები შეიძლება იყოს მრავალნაირი: მათემატიკური, ბიოლოგიური, კომპიუტერული და ა.შ. მისი ერთ-ერთი სახეა ინტელექტუალური სისტემა. ეს სისტემები მოიცავენ სხვადასხვა დარგებს. მანქანური სწავლება ინტელექტუალური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც თავისმხრივ საჭიროებს ისეთ ანალიზურ საკითხებს როგორცაა: შემავალი და გამომავალი ინფორმაცია, სისტემის მუშაობის ძირითადი პროცესები და პრინციპები. ასეთი ტიპის სისტემების მანქანურ სწავლებაში განსაზღვრულია უამრავი სხვადასხვა ტიპის ალგორითმი, რომელთაგან ერთ-ერთია კლასიფიკაცია. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ და რა პრინციპით დავადგინოთ შემავალი ინფორმაცია ამ ტიპის ალგორითმებისათვის. მიმდინარე სტატია განიხილავს კლასიფიკაციის ტიპის ალგორითმებისათვის შემავალი ინფორმაციის ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური სისტემა. მანქანური სწავლება. კლასიფიკაციის ალგორითმები.

1. შესავალი


მანქანური სწავლება წარმოადგენს ინტელექტუალური სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს. მისი საშუალებით ხდება აღნიშნულ სისტემაზე გარკვეული დაკვირვებები. ასეთი ტიპის სისტემები გამოირჩევიან გარკვეული სპეციფიკაციით, კერძოდ ის შეიძლება იყოს დახურული ან ღია ტიპის. დახურული ტიპის სისტემებში უცნობია ის პრინციპები და ალგორითმები, რომლითაც აღნიშნული სისტემა მუშაობს, შესაბამისად დაკვირვებები ხორციელდება მხოლოდ შემავალ და გამომავალ ინფორმაციაზე. მისგან განსხვავებით ღია ტიპის სისტემებში ცნობილია არა მხოლოდ შემავალი და გამომავალი ინფორმაცია, არამედ ის ალგორითმები და პრინციპები, რომელსაც იყენებს აღნიშნული სისტემა. მანქანურ სწავლებაში გამოყენებული ალგორითმები დავაგუფებულია გარკვეული სახით. ზოგიერთი მათგანია: კლასიფიკაციის, კლასტერიზაციის და ასოციაციის ალგორითმები. როგორც წესი, ასეთი ტიპის ალგორითმები ცალკე აღებული ვერ იძლევა ეფექტურ შედეგს, ამიტომ საჭირო ხდება მათი გარკვეული წესით შერწყმა. ამ ალგორითმების კომბინაციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შემავალი და გამომავალი ინფორმაცია. ერთი ალგორითმის გამომავალი ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს შემავალ ინფორმაციას მეორე ალგორითმისთვის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შედგევი ძირითადი ფაქტორები:

- ალგორითმების სწორი შერჩევა - მათი კომბინაციის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს რომელი ალგორითმების კომბინაცია იქნება უკეთესი (კომბინაციაში შეიძლება იგულისხმებოდეს სხვადასხვა კატეგორიის ალგორითმების ერთმანეთში შერწყმაც);
- ინფორმაციის წარმოდგენის წესი - შესაძლებელი უნდა იყოს მოცემული ინფორმაციის წარმოდგენა როგორც კონკრეტული ალგორითმის შემავალი ინფორმაცია;

ინფორმაციის წარმოდგენის წესი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ისეთ სისტემებში სადაც მანქანურ სწავლებაში ჩადებულია ალგორითმების კომბინაცია, არამედ ცალსახად, ნებისმიერი ცალკე აღებული ალგორითმის შემთხვევაში.


2. შემავალი ინფორმაციის ფორმირება

ნებისმიერი ალგორითმისათვის აუცილებელია შემავალი ინფორმაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ მიმდინარე ალგორითმი იყენებს მატრიცას, რომელიც შედგება კონკრეტული რაოდენობის ვექტორ-სვეტისაგან და y ვექტორ-სვეტისაგან. ასევე წინასწარაა მოცემული დათვლილი საშუალო ენტროპიები. შემავალი ინფორმაციიდან ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ მხოლოდ მატრიცა, y სვეტის გარდა. მისი ფორმირებისათვის ჩვენ გამოვიყენებთ ე.წ. ლოგიკურ სქემას, რომელსაც შესასვლელზე მიეწოდება 0-ები და 1-ები, ხოლო გამოსასვლელზე იღებს 0-ს ან 1-ს, კონკრეტული ლოგიკური გამოსახულებიდან გამომდინარე. ასეთი სქემის შერჩევა დამოკიდებულია ოპერანდების რაოდენობაზე, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენს მიერ შემუშავებული ლოგიკური სქემა, რომელიც განსაზღვრულია 12 ოპერანდზე (ნახ.1).



ნახ.1. ლოგიკური სქემა

მოცემულ სქემაში გამოყენებულია 4 ტიპის ატომური ოპერატორი: „და“ (&), „ან“ (V), „უარყოფა“ (~), „ბიტური ან“ (XOR). შესასვლელზე მიეწოდება 0-ები და 1-ები, საბოლოოდ კი მივიღებთ 0-ს ან 1-ს ამ სქემიდან გამომდინარე. შეგვიძლია მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი (ნახ.2).



ნახ.2. ლოგიკური სქემის გამოყენების კონკრეტული მაგალითი

3. კლასიფიკაციის ერთ-ერთი ალგორითმი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლასიფიკაცია აერთიანებს კონკრეტული ტიპის ალგორითმებს. მისი ერთ-ერთი კლასიკური ალგორითმია გადაწყვეტილებათა ხეები (Decision Tree) [1]. ჩვენ განვიხილავთ ისეთ გადაწყვეტილებათა ხეს, სადაც მონაცემები წარმოდგენილია ორობითი სახით. ალგორითმისათვის წინასწარაა ცნობილი/მოცემული:

- მატრიცა (რომელიც აგებულია გარკვეული ვექტორ-სვეტების საფუძველზე);
- საწყისი ენტროპია (გამოთვლილი სახით);

ალგორითმი მუშაობს შემდეგი პრინციპით:

- თითოეული ვექტორ-სვეტისათვის გამოვთვალოთ საშუალო ენტროპია AE_i ;
- გამოთვლილი საშუალო ენტროპიებიდან ამოვარჩიოთ მინიმალური, რის შედეგადაც მოხდება წინა ეტაპზე მიღებული მატრიცის გაყოფა მარცხენა და მარჯვენა ქვემატრიცებად, ხოლო არჩეული ვექტორ სვეტი კი იქნება ხის მიმდინარე კვანძი;

- გავიმეოროთ ეს პროცესი მანამ, სანამ არ მოხდება მთელი ხის აგება.

ახლა განვსაზღვროთ თუ როგორ ხდება საშუალო ენტროპიის დათვლა თითოეული ვექტორ-სვეტისათვის:

1. f_i ვექტორ-სვეტისათვის დავთვალოთ დადებითი და უარყოფითი ელემენტების რაოდენობა მარცხენა და მარჯვენა კვანძისათვის (თითოეული f_i წარმოადგენს ხის კვანძს, რომელსაც გააჩნია მარცხენა (დადებითი კვანძი) და მარჯვენა (უარყოფითი კვანძი) კვანძები). მარცხენა კვანძისთვის დადებითი ელემენტების რაოდენობა ტოლია იმ 0-ების რაოდენობის, რომლის შესაბამისი y არის 0. მარცხენა კვანძისთვის უარყოფითი ელემენტების რაოდენობა ტოლია იმ 0-ების რაოდენობის, რომლის შესაბამისი y არის 1. მარჯვენა კვანძისთვის დადებითი ელემენტების რაოდენობა ტოლია იმ 1-ის ტოლი მნიშვნელობების რაოდენობის, რომლისთვისაც შესაბამისი y არის 0. მარჯვენა კვანძისთვის უარყოფითი ელემენტების რაოდენობა ტოლია იმ 1-ის ტოლი მნიშვნელობების რაოდენობის, რომლისთვისაც შესაბამისი y არის 1;

2. ენტროპია მოცემულია შემდეგი ფორმულით (რადგან საუბარია ორობით სისტემაზე, აუცილებელია ორივე ენტროპიის გამოთვლა):

$$I_i(p_0, n_0) = - \frac{p_0}{p_0+n_0} \log_2\left(\frac{p_0}{p_0+n_0}\right) - \left(1 - \frac{p_0}{p_0+n_0}\right) \log_2\left(1 - \frac{p_0}{p_0+n_0}\right)$$


და

$$I_i(p_1, n_1) = - \frac{p_1}{p_1+n_1} \log_2\left(\frac{p_1}{p_1+n_1}\right) - \left(1 - \frac{p_1}{p_1+n_1}\right) \log_2\left(1 - \frac{p_1}{p_1+n_1}\right);$$

3. ბოლოს უნდა გამოვთვალოთ AE_i შემდეგნაირად:

$$AE_i = \frac{p_0+n_0}{p+n} I_i(P_0, n_0) + \frac{p_1+n_1}{p+n} I_i(P_1, n_1);$$

ამ 3 ეტაპის შემდეგ ვარჩევთ ისეთ AE_i რომელიც არის მინიმალური, ვფოთო მატრიცას ორ ნაწილად (მარცხენა და მარჯვენა ქვე მატრიცებად. გაყოფა ხდება არჩეული ვექტორ სვეტის საფუძველზე) და მთელ პროცესს ვიმეორებთ მანამ სანამ არ მოხდება მთელი ხის აგება.



ნახ.3. გადაწყვეტილებათა ხე (კონკრეტული მაგალითი)

4. დასკვნა

კვლევის საფუძველზე შემუშავებულ იქნა ლოგიკური სქემის მოდელი, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ შემაჯალი ინფორმაციის y ვექტორ-სვეტი. მის განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მთლიანი ხის აგება გარკვეულწილად y სვეტზეცაა დამოკიდებული. რა თქმა უნდა ჩვენ განვიხილეთ ბინარული მოდელი, არა-ბინარული მოდელის შემთხვევაში შეგვიძლია მთლიანი ინფორმაცია დავიყვანოთ ბინარულზე ან პირდაპირ ავაგოთ გადაწყვეტილებათა ხე. არა-ბინარული მოდელის შემუშავება არ წარმოადგენს მიმდინარე სტატიის კვლევის საგანს, აქედან გამომდინარე ის შეიძლება განხილულ იქნას ცალკე.

ლიტერატურა:

1. Artificial Intelligence. (2004). Copyright © 2004 by Massachusetts Institute of Technology.

**INPUT INFORMATION GENERATION IN MACHINE LEARNING
CLASIFICATION ALGORITHMS**

Bosikashvili Zurab, Chokhanelidze David

Georgian Technical University

Summary

One of the main purpose of machine learning is observating the system. There exists many kinds of system: Mathmetical, Biological, Informational system and etc. One kind of such system is intelligence system. These systems are used in many industries. Machine learning is one of the main part of intelligence system which includes such questions: Input and output information, main processes of system. Such systems' machine learning defines many kind of algorithms. Such systems' machine learning defines many kind of algorithms. One kind of algorithm of this system is clasification. It's important to know how to generate input information for that kind of algorithms. Current article discusses how to generate input information of clasification algorithms.

**ФОРМИРОВАНИЕ ВХОДЯЩЕЙ ИНФОРМАЦИИ В АЛГОРИТМАХ
КЛАССИФИКАЦИИ МАШИННОГО ОБУЧЕНИЯ**

Босикашвили З., Чохонелидзе Д.

Грузинский Технический Университет

Резюме

Основная цель машинного обучения- наблюдение за какой-нибудь системой. Эти системы могут быть разнообразными: математические, биологические, компьютерные и т.д. Один из видов системы-интеллектуальная система. Эти системы используются в разных отраслях. Машинное обучение является важной частью интеллектуальной системы, которая включает в себя такие вопросы анализа, как входящая и выходящая информация, основные принципы и процессы работы системы. В машинном обучении для такого типа систем определены многие типы алгоритмов, один из которых- классификация. Важно знать как и каким принципом установить входящую информацию для такого типа алгоритмов. В представленной статье рассматривается формирование входящей информации для алгоритмов типа классификации.

მანქანური სწავლების კლასტერიზაციის ალგორითმებში გამომავალი ინფორმაციის ფორმირება

ზურაბ ბოსიკაშვილი, დავით ჭოხონელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მანქანური სწავლების ერთ-ერთი დანიშნულებაა რაიმე სისტემაზე დაკვირვება. არსებობს სხვადასხვა ტიპის სისტემები: მათემატიკური, ბიოლოგიური, კომპიუტერული და ა.შ. მისი ერთ-ერთი სახეა ინტელექტუალური სისტემა. ისინი მოიცავენ სხვადასხვა დარგებს. მანქანური სწავლება ინტელექტუალური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც თავისმხრივ შეიცავს ისეთ ანალიზურ საკითხებს როგორცაა: შემაჯავალი და გამომავალი ინფორმაცია, სისტემის მუშაობის ძირითადი პროცესები და პრინციპები. ასეთი სისტემების მანქანურ სწავლებაში განსაზღვრულია უამრავი სხვადასხვა ტიპის ალგორითმი, რომელთაგან ერთ-ერთია კლასტერიზაცია. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ და რა პრინციპით დაეადგინოთ გამომავალი ინფორმაცია ასეთი ტიპის ალგორითმებისათვის. მიმდინარე სტატია განიხილავს კლასტერიზაციის ტიპის ალგორითმებისათვის გამომავალი ინფორმაციის ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური სისტემა. მანქანური სწავლება. კლასტერიზაციის ალგორითმები.

1. შესავალი

ინტელექტუალური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია მანქანური სწავლება, საშუალებით ხდება აღნიშნულ სისტემაზე გარკვეული დაკვირვებები. ინტელექტუალური სისტემა ჩვეულებრივი სისტემისაგან განსხვავებით ხასიათდება თვითგანვითარებით, ეი ახლის ათვისების უნარით, ახალი ინფორმაციის სწავლით. ასეთი ტიპის სისტემები გამოირჩევიან გარკვეული სპეციფიკაციით, კერძოდ ის შეიძლება იყოს დახურული ან ღია ტიპის. დახურული ტიპის სისტემებში უცნობია ის პრინციპები და ალგორითმები, რომლითაც აღნიშნული სისტემა მუშაობს, შესაბამისად დაკვირვებები ხორციელდება მხოლოდ შემაჯავალ და გამომავალ ინფორმაციაზე. მისგან განსხვავებით ღია ტიპის სისტემებში ცნობილია არა მხოლოდ შემაჯავალი და გამომავალი ინფორმაცია, არამედ ის ალგორითმები და პრინციპები, რომელსაც იყენებს აღნიშნული სისტემა. მანქანურ სწავლებაში გამოყენებული ალგორითმები დაჯგუფებულია გარკვეული სახით. ზოგიერთი მათგანია: კლასიფიკაციის, კლასტერიზაციის და ასოციაციის ალგორითმები. როგორც წესი, ასეთი ტიპის ალგორითმები ცალკე აღებული ვერ იძლევა ეფექტურ შედეგს, ამიტომ საჭირო ხდება მათი გარკვეული წესით შერწყმა. ამ ალგორითმების კომბინაციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შემაჯავალი და გამომავალი ინფორმაცია. ერთი ალგორითმის გამომავალი ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს შემაჯავალ ინფორმაციას მეორე ალგორითმისთვის. კონკრეტული ალგორითმის შემთხვევაში აუცილებელია დავადგინოთ გამომავალი ინფორმაციის დაყვანის/წარმოდგენის წესი, რომელსაც შემდეგ უკვე გამოვიყენებთ როგორც:


- შემაჯავალი ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ალგორითმისთვის - საჭიროა იმ შემთხვევაში თუ სისტემა აწყობილია გარკვეული ალგორითმების კომბინაციით;
- საბოლოო შედეგების წარმოდგენისთვის.

გამომავალი ინფორმაციის დაყვანის/წარმოდგენის წესი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ისეთ სისტემებში სადაც მანქანურ სწავლებაში ჩადებულია ალგორითმების კომბინაცია, არამედ ცალსახად, ნებისმიერი ცალკე აღებული ალგორითმის შემთხვევაში.

2. კლასტერიზაციის ერთ-ერთი ალგორითმი

კლასტერიზაციის ტიპის ალგორითმები მოიცავენ სხვადასხვა ალგორითმებს, რომელთაგანაც ერთ-ერთია K-Means ალგორითმი. მოცემული გვაქვს k კოეფიციენტი და გარკვეულ წერილთა სიმრავლე, რომელთაგანაც უნდა აიგოს კლასტერი. ალგორითმი შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც შემდეგი ბიჯების ერთობლიობა:

- დავეთვოთ ობიექტები k რაოდენობის არა ცარიელ ქვესიმრავლეებად;
- ვიპოვოთ დაყოფილი ქვესიმრავლეების/კლასტერების ცენტროიდები;
- თითოეული წერტილი/ობიექტი მივაკუთვნოთ კონკრეტულ კლასტერს;
- გამოვთვალოთ მანძილები თითოეული წერილიდან და ამ კლასტერისთვის გამოყოფილი სხვა მრავალი წერტილიდან კლასტერამდე, სადაც მანძილი ცენტროიდამდე არის მინიმალური;
- წერტილების გადაწინაწილების შემდეგ (წინა პუნქტის შედეგად ხდება გარკვეული წერტილების სხვა კლასტერზე მინიჭება, რადგან მის ცენტროიდთან უფრო ახლოს არის ეს წერტილი) ვიპოვოთ ცენტროიდი ახალ კლასტერში [1].



ნახ.1. თითოეული ბიჯი

შეგვიძლია წარმოვადგინოთ შესაბამისი მათემატიკური მოდელიც:

1. მოვახდინოთ კლასტერის ცენტროიდების ინიციალიზაცია;
2. ვიმეორებთ ქვემოთ მოყვანილ ბიჯებს მანამ სანამ არ მივალწვეთ ოპტიმალურ განაწილებას:
 - ა. ყოველი i სთვის ვპოულობთ $C^{(i)} := \arg \min_j \|x^{(i)} - \mu_j\|^2$;
 - ბ. ყოველი j სთვის კი

$$\mu_j = \frac{\sum_{i=1}^m 1\{C^{(i)} = j\} x^{(i)}}{\sum_{i=1}^m 1\{C^{(i)} = j\}};$$

ამ მათემატიკური მოდელის საფუძველზე საბოლოო ჯამში ვიპოვოთ კლასტერებს, სადაც თითოეული მოცემული წერტილი განკუთვნილი იქნება კონკრეტული კლასტერისთვის. ეს წერტილები რა თქმა უნდა განსაზღვრული იქნება რაიმე სიდიდით (მაგ. რიცხვითი სიდიდით), თუმცა უნდა მოხდეს ამ შედეგების გარკვეულ ფორმატში წარმოდგენა რათა შემდეგ ეს

ინფორმაცია გამოყენებულ იქნას როგორც სხვა ალგორითმის შემავალი ინფორმაცია ან/და საბოლოო შედეგების საჩვენებლად/წარმოსადგენად.

3. გამომავალი ინფორმაციის ფორმირება

ზემოაღნიშნული მათემატიკური მოდელის საფუძველზე მივიღებთ კონკრეტულ შედეგებს (მოცემულს რაიმე სიდიდის სახით) თუმცა შედეგების ასეთი პირდაპირი წარმოდგენა ყოველთვის შესაძლოა არ იყოს სწორი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტელექტუალური სისტემა არის უამრავი სახის, მასში თითოეული ალგორითმი შესაძლოა ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული და აქედან გამომდინარე გამომავალი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ან სხვა ალგორითმის შემავალ ინფორმაციად ან საბოლოო შედეგების ფორმირებისთვის/წარმოდგენისთვის.

აუცილებელია წინასწარ იყოს ცნობილი რა ტიპის უნდა იყოს გამომავალი ინფორმაცია. ასეთი ტიპები შეიძლება იყოს: ლოგიკური ტიპი (0 ან 1), რიცხვითი ტიპი, რაიმე სხვა ობიექტური ტიპი. ხშირ შემთხვევაში საჭიროა ლოგიკური ტიპის გამომავალი ინფორმაცია. ვთქვათ მოცემულია d კოეფიციენტი (რიცხვითი სახის) და უნდა ვიპოვოთ რაიმე r_i^j ელემენტები ($i=0,1,\dots,N, j=1,\dots,M$) მისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი მიმართებითი დამოკიდებულება:

$$r_i^j = \begin{cases} 0 & \text{if } r_i^j \leq d \\ 1 & \text{if } r_i^j > d \end{cases}$$

აღნიშნულ დამოკიდებულებაში საქმე გვაქვს ორი შესაძლო მნიშვნელობის მიღებასთან (0 ან 1) თუმცა იმავე გამომავალი ინფორმაციის ბინარული სახით ფორმირებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ლოგიკური მიმართების უფრო კომპლექსური მეთოდები, მაგალითად რაიმე ლოგიკური ფორმულა $((A \& B) \vee (A \& C))$. ასეთი კომპლექსური ლოგიკური ფორმულა შეიძლება მოიცავდეს ერთზე მეტ ოპერანდს და სხვადასხვა მიმართებებს მათ შორის.

რიცხვითი ტიპის შემთხვევაშიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მიმართება იგივე d კოეფიციენტთან მიმართებაში, მაგრამ ეს მიდგომა კარგი იქნება იმ შემთხვევაში თუ მისაღები რიცხვები არის წინასწარ განსაზღვრული სიმრავლის ელემენტები (მაგ. თუ სიმრავლეში არის რიცხვები $\{1,2,3,7,12\}$, მიმართებით მიღებული რიცხვიც უნდა იყოს ამ სიმრავლის ელემენტი). იმ შემთხვევაში თუ რიცხვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს ნებისმიერი, აუცილებელია განისაზღვროს ფორმულა, რომელიც მოგვცემს ოპტიმალურ მნიშვნელობას. ასეთი ფუნქციის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზეც ეს მიღებული ინფორმაცია როგორი ტიპის/კონკრეტულად რომელი ალგორითმისთვის იქნება გამოყენებული როგორც შემავალი ინფორმაცია, რასაც აქ არ განვიხილავთ, რადგან ის ცილდება მიმდინარე სტატიის კვლევის საგანს.

4. კონკრეტული მაგალითი

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. ვთქვათ მოცემულია მონაცემები, რომლებიც შეიცავს ორ ცვლადზე რაიმე რიცხვითი ტიპის ინფორმაციას [2]:

ინდექსი	A	B
1	1.0	1.0
2	1.5	2.0
3	3.0	4.0
4	5.0	7.0
5	3.5	5.0

6	4.5	5.0
7	3.5	4.5

მოცემული მონაცემები დაავაგუფოთ ორ კლასტერად, პირველად ავიღოთ 1 და მე 4 ინდექსის მქონე სტრიქონები და ვიპოვოთ ცენტროიდები (გამოვიყენოთ ევკლიდეს ფორმულა):

	ინდექსი	ცენტროიდი
ჯგუფი 1	1	(1.0, 1.0)
ჯგუფი 2	4	(5.0, 7.0)

თითოეული კლასტერული ჯგუფისთვის განვსაზღვროთ ინდექსების მიმდევრობები და გამოვთვალოთ ცენტროიდები (ისევ ევკლიდეს მეთოდით):

ბიჯი	კლასტერული ჯგუფი 1		კლასტერული ჯგუფი 2	
	ინდექსები	ცენტროიდი	ინდექსები	ცენტროიდი
1	1	(1.0, 1.0)	4	(5.0, 7.0)
2	1, 2	(1.2, 1.5)	4	(5.0, 7.0)
3	1, 2, 3	(1.8, 2.3)	4	(5.0, 7.0)
4	1, 2, 3	(1.8, 2.3)	4, 5	(4.2, 6.0)
5	1, 2, 3	(1.8, 2.3)	4, 5, 6	(4.3, 5.7)
6	1, 2, 3	(1.8, 2.3)	4, 5, 6, 7	(4.1, 5.4)

საწყისი კლასტერული განაწილება შეიცვალა, აქედან გამომდინარე გვექნება:

	ინდექსი	ცენტროიდი
კლასტერი 1	1, 2, 3	(1.8, 2.3)
კლასტერი 2	4, 5, 6, 7	(4.1, 7.0)

ამის შემდეგ საბოლოოდ არ ვართ დარწმუნებულნი რომ თითოეული ობიექტი სწორ კლასტერულ ჯგუფშია, ამიტომ ვადარებთ თითოეული ინდექსის შესაბამისი ობიექტის საკუთარ კლასტერთან მანძილი ნაკლებია თუ არა მეორე კლასტერთან მანძილისა და თუ არა (ე.ი უფრო ახლოსაა მეორე კლასტერთან) უნდა გადავიტანოთ მეორე კლასტერში:

ინდექსი	მანძილი პირველ კლასტერამდე	მანძილი მეორე კლასტერამდე
1	1.5	5.4
2	0.4	4.3
3	2.1	1.8
4	5.7	1.8
5	3.2	0.7
6	3.8	0.6
7	2.8	1.1

საბოლოო ჯამში თითოეული ინდექსის შესაბამისი ობიექტი მოხვდება იმ კლასტერში, რომელთანაც უფრო ახლოსაა (მანძილი შესაბამის კლასტერამდე არის ნაკლები ვიდრე სხვა კლასტერამდე). აქედან გამომდინარე გვექნება:

	ინდექსი	ცენტროიდი
კლასტერი 1	1, 2	(1.3, 1.5)
კლასტერი 2	3, 4, 5, 6, 7	(3.9, 5.1)

საბოლოო ჯამში იტერაციული გზით მივედით ოპტიმალურ განაწილებამდე, თუმცა არის შემთხვევები როდესაც ასეთი იტერაციების რაოდენობა ან ძალიან დიდია, ან უსასრულოდ გრძელდება. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია დავეყრდნოთ იტერაციათა კონკრეტულ რაოდენობას, რომელიც მიახლოებით ან ზუსტად არის განსაზღვრული კონკრეტული ამოცანისთვის.

გამომავალი ინფორმაცია საბოლოოდ არის ინდექსების შესაბამისი ობიექტები. ამ შემთხვევაში ვიცით, რომ პირველ კლასტერში არის 1 და 2- ე ინდექსის შესაბამისი ობიექტები, ხოლო დანარჩენი ეკუთვნის მეორე კლასტერს. იმისათვის რომ აღნიშნული მონაცემები გადავიყვანოთ ბინარულ ფორმატში, განვსაზღვროთ მიმართება d კოეფიციენტის მონაწილეობით, კერძოდ:

$$r_i^j = \begin{cases} 0 & \text{if } r_i^j \leq d \\ 1 & \text{if } r_i^j > d \end{cases}$$

თუ $d=1.1$ მაშინ:

ინდექსი	A	B
1	0	0
2	1	1

5. დასკვნა

აღნიშნული მეთოდოლოგია წარმოადგენს ერთ-ერთ ვარიანტს თუ როგორ შეიძლება ერთი ალგორითმის შედეგების გამოყენებით ინფორმაცია მიეწოდოს მეორე ალგორითმს (თუ სისტემა ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ ერთი ალგორითმი დამოკიდებულია მეორეზე და ა.ს). რა თქმა უნდა შესაძლებელია გამომავალი ინფორმაციის ფორმირების განსხვავებული მეთოდოლოგიის შემუშავება, მაგრამ აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს მცდელობას ინტელექტუალურ სისტემაში (სადაც გამოყენებულია მანქანური სწავლების ალგორითმები) დაიხვეწოს სისტემის წარმადობა და გაზდეს უფრო ეფექტური და სრულყოფილი.

ლიტერატურა:

1. <http://www.edureka.co/blog/introduction-to-clustering-in-mahout/>
2. <http://mnemstudio.org/clustering-k-means-example-1.htm>

OUTPUT INFORMATION GENERATION IN MACHINE LEARNING CLUSTERING ALGORITHMS

Bosikashvili Zurab, Chokhnelidze David
Georgian Technical University

Summary

One of the main purpose of machine learning is observing the system. There exists many kinds of system: Mathmetical, Biological, Informational system and etc. One kind of this system is intelligence system. Many industry uses these systems. Machine learning is one of the main part of intelligence system which includes such questions: Input and output information, main processes of system. Such systems' machine learning defines many kind of algorithms. One kind of algorithm of this system is clustering. It's important to know how to generate output information for that kind of algorithms. Current article discusses how to generate output information of clustering algorithms.

ФОРМИРОВАНИЕ ВЫХОДНОЙ ИНФОРМАЦИИ В АЛГОРИТМАХ КЛАСТЕРИЗАЦИИ МАШИННОГО ОБУЧЕНИЯ

Босикашвили З., Чохонелидзе Д.
Грузинский Технический Университет

Резюме

Одно из назначений машинного обучения - наблюдение за какой нибудь системой. Существуют разного типа системы: математические, биологические, компьютерные и т. д. Один из видов систем- интеллектуальная система. Эти системы используются в разных отраслях. Машинное обучение является важной частью интеллектуальной системы, которая включает в себя такие вопросы анализа, как : входящая и выходящая информация, основные процессы и принципы работы системы. В машинном обучении такого типа систем определены многие типы алгоритмов, один из которых - кластеризация. Важно знать, как и каким принципом установить выходящую информацию для такого типа алгоритмов. Представленная статья рассматривает формирование выходящей информации для алгоритмов типа кластеризации.

**საინვესტიციო პორტფელის შეფასება შარპის
კოეფიციენტის გამოყენებით**

ლაშა გურგენიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შარპის კოეფიციენტი არის საპაიო საინვესტიციო ფონდის საინვესტიციო პორტფელის მართვის შედეგების შეფასების კლასიკური მაჩვენებელი. შარპის კოეფიციენტი ასევე გამოიყენება ინვესტიციის სტრატეგიის შედარებითი ანალიზისათვის და საინვესტიციო პორტფელის ფორმირების ეფექტურობისათვის, რაც მეტი იქნება შარპის კოეფიციენტის მაჩვენებლის მნიშვნელობა, მით მეტი მოგება იქნება მიღებული. სტატიაში განიხილება საინვესტიციო პორტფელის შეფასება შარპის კოეფიციენტის გამოყენებით. შემოთავაზებულია საინვესტიციო პორტფელის შეფასება, რომელიც შედგება ვებ ბანკის, ლუკოილის და აეროფლოტის აქციებისაგან. საინვესტიციო პორტფელის შეფასება შარპის კოეფიციენტის გამოყენებით დაანგარიშებულია და ნაჩვენებია Excel პროგრამაში.

საკვანძო სიტყვები: შარპის კოეფიციენტი. ფასიანი ქაღალდები. საფონდო ბირჟა. საინვესტიციო პორტფელი.

1. შესავალი

შარპის კოეფიციენტი (ინგლ. Sharp ratio) - არის მაჩვენებელი, რომლის მეშვეობით ხდება საინვესტიციო პორტფელის ეფექტურობის და შედეგების შეფასება (საპაიო საინვესტიციო ფონდით). მოცემული კოეფიციენტი შემუშავებული იქნა შარპის მიერ 1966 წელს და გამოიყენება, როგორც მოქმედი მართვის სტრატეგიის ანალიზისას, ასევე სხვადასხვა ინვესტიციის სტრატეგიის შედარებითი ანალიზისათვის.

საკვანძო სიტყვები: შარპის კოეფიციენტი, ფასიანი ქაღალდები, საფონდო ბირჟა.

2. ძირითადი ნაწილი

შარპის კოეფიციენტი გამოიყენება: საპაიო საინვესტიციო ფონდის მართვის შეფასებისას, საფონდო ბაზარზე აქტიური სავაჭრო სტრატეგიის შედეგისათვის, ინვესტორის საინვესტიციო პორტფელის ფორმირების ეფექტურობისათვის.

შარპის კოეფიციენტი გვიჩვენებს საინვესტიციო ფონდის მოგების რისკების შეფარდებით მაჩვენებლის და ასახავს ჭარბი მოგებები რამდენად მაღალია საინვესტიციო რისკის ღონეზე.

შარპის კოეფიციენტის დაანგარიშების ფორმულა შემდეგია:

$$\text{Sharp ratio} = \frac{r_p - r_f}{\sigma_p};$$

r_p - საპაიო საინვესტიციო ფონდის საშუალო მოგება (საინვესტიციო პორტფელის).

r_f - საპაიო საინვესტიციო ფონდის აქტივების შემოსავლების სტანდარტული გადახრა(საინვესტიციო პორტფელის რისკი).

σ_p -ურისკო აქტივების საშუალო მოგებები.

უფრო ვრცლად განვიხილოთ ფორმულის ყველა მაჩვენებელი.

ურისკო აქტივების მოგების გამოთვლა. ჭარბი მოგების შეფასებისათვის, რომელიც მიიღო ინვესტორმა, აუცილებელია გამოვითვალოთ მოგების მინიმალური შესაძლებლობა, რომელსაც ის მიიღებდა საიმედო აქტივებში დაბანდებისას. სწორედ ჭარბი მოგებები გვიჩვენებს თუ რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო მენეჯერმა საპაიო საინვესტიციო ფონდის მართვის და ეფექტურობისათვის.

ურისკო აქტივების მოგების შეფასების რამოდენიმე მეთოდი არსებობს. მეტნაკლებად მსხვილი და საიმედო ბანკების საბანკო შენატანების მოგებები.

- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ურისკო მოგებები, რომელთაც აქვთ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოში მეტი სანდოობა. შემდეგ უნდა მოხდეს მოგებების შედარება სარისკო ფასიანი ქაღალდებისა და სრულიად საიმედო აქტივებს მინიმალური მოგებებს შორის.

2.1 საპაიო საინვესტიციო ფონდის შეფასება შარპის კოეფიციენტით

შარპის მაჩვენებლის შეფასება მოცემულია ქვემოთ ცხრილში. მაგალითისათვის თუ ერთზე მეტია ეს ნიშნავს, რომ მასში მოგების დონე მეტია ფონდების რისკზე ან საინვესტიციო პორტფელზე. მაჩვენებლის შეფასება შესაძლებლობას გვაძლევს შევარჩიოთ საინვესტიციო უფრო მიმზიდველი ფონდი, პორტფელი ან სულაც სტრატეგია შენატანებისას.

მართვის ეფექტურობის მაჩვენებლის მნიშვნელობის შეფასება:

Sharp ratio > 1 - საპაიო საინვესტიციო ფონდის მართვის მაღალი შედეგი ან პორტფელის. მოცემული ფონდი მიმზიდველია ინვესტორისათვის.

1 > Sharp ratio > 0 - რისკის დონე მეტია, ვიდრე საინვესტიციო ფონდის ზედმეტი მოგებები. აუცილებელია გადაიხედოს საინვესტიციო ფონდის მიმზიდველობის სხვა მაჩვენებელი.

Sharp ratio < 0 - ჭარბი მოგების დონე უარყოფითია, უმჯობესია ინვესტორმა თანხა დააბანდოს ურისკო აქტივებში, მინიმალური რისკით.

Sharp ratio1 > Sharp ratio2 - პირველი საინვესტიციო საპაიო ფონდი უფრო მიმზიდველია ვიდრე მეორე.

2.2. შარპის კოეფიციენტის პრაქტიკული გამოყენება

თუ თქვენ ახდენთ საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას და საჭიროება მოითხოვს ფაისნი ქაღალდების სხვადასხვა პორტფელის შედარებას, ამისათვის აუცილებელია მოვახდინოთ პორტფელში შემავალი ყველა აქციის ცვლილების კოტირება, გამოვითვალოთ მათი მოგებები და პორტფელის საერთო რისკი. უფრო ფართოდ განვიხილოთ შარპის კოეფიციენტის გამოთვლის მაგალითი EXCEL-ში.

ავილოთ სამი აქციის პორტფელი: „VTB ბანკი“, „ლუკოილი“ და „აეროფლოტი“ ყველა აქციისათვის შევაფასოთ მისი წილი საერთო პორტფელში. VTB ბანკი - 0,5, ლუკოილი-0,3 და აეროფლოტი - 0,2 ანალიზისათვის ავილოთ მთელი წლის კოტირება.

შემდეგ ეტაპზე აუცილებელია პორტფელის თითოეული ფასიანი ქაღალდის მოგების გამოთვლა. ამისათვის ვისარგებლოთ EXCEL-ში ფორმულებით.

VTB ბანკის აქციების მოგება =LN(B4/B3)

ლუკოილის აქციების მოგება =LN(C4/C3)

აეროვლოტის აქციების მოგება =LN(D4/D3)

შემდეგ აუცილებელია მოგებების კოეფიციენტის პარამეტრების გამოთვლა და პორტფელის რისკის მთლიანად. ასევე შევავსოთ ურისკო მოგებები. პორტფელის მოგებები მოიცავს დღიური მოგებების საშუალო არითმეტიკულს, პორტფელის რისკი ტოლია აქტივების მოგებების სტანდარტული გადახრის გაწონასწორებული თანხისა. ურისკო მოგებები აღებული იქნა წლიური საპროცენტო განაკვეთიდან ბანკის დეპოზიტიდან და შეადგენს 12%. ვიასრებლოთ ფორმულით

პორტფელის მოგება =AVERAGE(E4:E253)*B1+AVERAGE(F4:F253)*C1+AVERAGE(G4:G253)*D1

პორტფელის რისკი =STDEV(E4:E253)*B1+STDEV(F4:F253)*C1+STDEV(G4:G253)

შარპის კოეფიციენტი =(H4-J4)/I4

საბოლოო შედეგი მოცემულია 1-ელ ნახაზზე.

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	
1	პორტფელის წილი	0.5	0.3	0.2							
2	თარიღი	VTB ბანკი	ლუკოილი	აეროვლოტი	VTB ბანკი	მოგება	ლუკოილის მოგება	აეროვლოტის მოგება	პორტფელის მოგება	პორტფელის რისკი	ურისკო განაკვეთი
3	20140131	0.04544	1999	83							
4	20140203	0.04527	1996.8	80	-0.003748213	-0.011224143	-0.035813973	0.05%	4.75%	12%	
5	20140204	0.04535	1970.1	76.65	0.001765615	0.001676446	-0.042777029				
6	20140205	0.04621	1965	76.12	0.018786048	-0.002592058	-0.005938563				
7	20140206	0.0461	1959.1	78.9	-0.002383275	0.00208434	0.035870185	შარპის კოეფიციენტი=	-2.5		
8	20140207	0.04603	1975.1	79.5	-0.001519532	0.003042444	0.007575794				
9	20140210	0.04555	1998.1	79.51	-0.010482734	0.005590379	0.000125778				
10	20140211	0.04555	2015.5	80.7	0	0.013637895	0.014855775				
11	20140212	0.04657	2028.2	82.02	0.022145933	0.005281357	0.016224545				
12	20140213	0.04562	2023	80.6	-0.02061034	-0.002557142	-0.01746447				
13	20140214	0.04591	2039.3	80.28	0.006336741	0.003025054	-0.003978126				
14	20140217	0.0462	2049	80.75	0.00629634	0.004745258	0.005837438				
15	20140218	0.04603	2040.7	80	-0.00368644	-0.004058383	-0.009331327				

ნახ.1. საინვესტიციო პორტფელის ეფექტურობის შეფასება შარპის კოეფიციენტის გამოყენებით

3. დასკვნა

როგორც ვხედავთ შარპის მაჩვენებლის მნიშვნელობა უარყოფითია (-2.5). ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოცემული საინვესტიციო პორტფელი არასწორადაა ფორმირებული და საჭიროებს გადახედვას. ურისკო აქტივების შემოსავალი აღმოჩნდა უფრო მეტი ვიდრე აქციების მოგება. ინვესტორისთვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა დაყრდნობა ურისკო აქტივებს ვიდრე დამატებითი რისკების შემოტანას.

ლიტერატურა:

1. Kenneth L. Grant. Trading Risk: Enhanced Profitability through Risk Control
2. <http://www.investopedia.com/terms/s/sharperatio.asp>

**EVALUATE THE PERFORMANCE OF AN INVESTMENT PORTFOLIO
USING SHARP RATIO**

Gurgenidze Lasha
Georgian Technical University

Summary

The Sharpe ratio is a classical indicator a measure for calculating risk-adjust return. This is often used to evaluate the performance of an investment portfolio. The Sharpe ratio helps to make the performance of one investment portfolio comparable to that of another investment portfolio by making an adjustment for risk, the value indicator has direct connection to the income.

**ОЦЕНКА ЭФФЕКТИВНОСТИ ИНВЕСТИЦИОННОГО ПОРТФЕЛЯ
С ПОМОЩЬЮ КОЭФФИЦИЕНТА ШАРПА**

Гургенидзе Л.
Грузинский Технический Университет

Резюме

Коэффициент Шарпа является классическим показателем оценки результативности управления инвестиционным портфелем или паевым инвестиционным фондом при сравнительном анализе инвестиционных стратегий. Чем выше значения показателя, тем большая сверхдоходность была получена управляющим, а модификация показателя позволяет решить вопрос более реалистичной оценки риска за счет использования статистических показателей распределения исторической доходности.

**საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორტფელი და
ჯ. ტობინის საინვესტიციო პორტფელის დაანბარიშვა**

ლაშა გურგენიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჯ. ტობინის პორტფელი არის გ. მარკოვიცას საინვესტიციო მოდელის ნაირსახეობა. ტობინის მოდელი საშუალებას გვაძლევს პორტფელის ფორმირებისას გავითვალისწინოთ ურისკო აქტივები, სახელმწიფო ობლიგაციები, მაღალსაიმედო ემიტენტის ობლიგაციები და უძრავი ქონება. რისკების და მოგების შეფასებას აქვს რიგი ნაკლოვანებები. რთულია ფასიანი ქაღალდების მომავალი მოგებების პროგნოზირება, მხოლოდ ფასების ცვლილებებით. მოცემული ნაკლოვანებების აღმოფხვრისას ხდება რისკების და მოგებების პროგნოზირების მრავალფაქტორივი მეთოდით. სტატიაში შემოთავაზებულია საინვესტიციო პორტფელის შეფასება ჯ. ტობინის შეფასების მოდელის გამოყენებით. შემოთავაზებულია საინვესტიციო პორტფელი შეფასება, რომელიც შედგება ვობ ბანკის, ლუკოილის და აეროფლოტის აქციებისაგან. ჯ. ტობინის პორტფელის შეფასების მაგალითი გადაწყვეტილია პროგრამა Excel-ის გამოყენებით.

საკანძო სიტყვები: ფასიანი ქაღალდები. ტობინის მოდელი. საფონდო ბირჟა. რისკების შეფასება.

1. შესავალი

ტობინის პორტფელის აგება ხდება გ. მარკოვიცის მოდელის ანალოგიურად, მაგრამ აქვს ორი მთავარი განსხვავება,

- საინვესტიციო პორტფელში გვაქვს ურისკო აქტივები, რომელთა მოგებებიც არ არის დამოკიდებული საბაზრო რისკზე. ურისკო აქტივების მიეკუთვნება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საიმედოობის მაქსიმალური დონით.

- შეზღუდვა დაიშვება არა მარტო ფასიანი ქაღალდების პორტფელის შესყიდვისას, არამედ მათი გაყიდვისას.

შეზღუდვა პორტფელის აგებისას, მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ფასიანი ქაღალდის ფასის წილი უნდა უტოლდებოდეს 1-ს, ურისკო აქტივებთან ერთად.

2. ფასიანი ქაღალდების პორტფელის მოგების ანგარიში ტობინის მოდელის გამოყენებით

საინვესტიციო პორტფელის მოგების გამოთვლა იანგარიშება, როგორც მაწონასწორებელი თანხა ცალკეული ფასიანი ქაღალდების მოგებისა, ურისკო აქტივების ჩათვლით. მოგების ანგარიშის ფორმულა შემდეგია.

$$r_p = W_0 r_0 + \sum_{i=1}^n W_i r_i$$

სადაც

r_p - საინვესტიციო პორტფელი

W_0 - სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების წილი პორტფელის სტრუქტურაში.

W_i -ურისკო აქტივების წილი პორტფელის სტრუქტურაში.

r_0 -ურისკო აქტივების მოგება.

r_i - ფასიანი ქაღალდების მოგებები.

3. ფასიანი ქაღალდების რისკების გათვლა პორტფელში

ჯ. ტობინის მოდელში პორტფელში ფასიანი ქაღალდების რისკების შეფასებისას გამოიყენება იგივე მიდგომა როგორც გ. მარკოვიცას მოდელში. რადგან ურისკო აქტივები მაქსიმალურად სანდოა, მისი რისკის დონე ნულის ტოლია. ფასიანი ქაღალდების პორტფელის, რისკის გამოთვლის ფორმულას ექნება შემდეგი სახე.

$$\sigma_p = \sqrt{w_i * w_j \ v_{ij}} = \sqrt{\sum_{i=1}^n w_i^2 \sigma_i^2 + 2 \sum_{i=1}^{n-1} \sum_{j=i+1}^n w_i w_j k_{ij} + \sigma_i \sigma_j}$$

სადაც

- σ_p - საინვესტიციო პორტფელის საერთო რისკი;
- σ_i - ფასიანი ქაღალდების მოგების სტანდარტული გადახრა;
- k_{ij} - i და j ფასიანი ქაღალდების კორელაციის კოეფიციენტებს შორის სხვაობა;
- w_i - საინვესტიციო პორტფელში ფასიანი ქაღალდების წილი;
- v_{ij} - i და j ფასიანი ქაღალდების მოგებების კოვარიაცია;
- n - პორტფელში ფასიანი ქაღალდების ჯამური რაოდენობა;

უნდა შევნიშნოთ, რომ პორტფელის საერთო რისკის შემცირება ხდება პორტფელში სხვადასხვა მიმართულების ფასიანი ქაღალდების შეცვლით. ანუ კორელაციის კოეფიციენტი ასეთი ფასიანი ქაღალდებს მოგებებს შორის უარყოფითია გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს გვაძლევს საშუალებას შევამციროთ პორტფელის საბაზრო რისკი.

4. ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელის ორი ძირითადი ამოცანა

პორტფელის შედგენის დროს ინვესტორი ხსნის ორ ამოცანას მოცემული მოგებების პირობებში პორტფელის მინიმალური რისკი და მოცემული რისკის დონის განსაზღვრის მაქსიმალური მოგებისათვის (ეფექტური). ოპტიმიზირებული ამოცანის მიზანი არის განისაზღვროს ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა, რომლის დროსაც სრულდება მოცემული პირობები. 1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია ოპტიმიზირებული ამოცანის მათემატიკური სახე, საინვესტიციო პორტფელის დასაანგარიშებლად ტობინის მოდელით.

$\left\{ \begin{array}{l} \sqrt{\sum_{i=1}^n w_i^2 \cdot \sigma_i^2 + 2 \sum_{i=1}^{n-1} \sum_{j=i+1}^n w_i \cdot w_j \cdot k_{ij} \cdot \sigma_i \cdot \sigma_j} \rightarrow \min \\ w_0 r_0 + \sum_{i=1}^n w_i \cdot r_i > r_p \\ w_0 + \sum_{i=1}^n w_i = 1 \\ w_i \geq 0 \end{array} \right. \quad \text{ა)}$	$\left\{ \begin{array}{l} w_0 r_0 + \sum_{i=1}^n w_i \cdot r_i \rightarrow \max \\ \sqrt{\sum_{i=1}^n w_i^2 \cdot \sigma_i^2 + 2 \sum_{i=1}^{n-1} \sum_{j=i+1}^n w_i \cdot w_j \cdot k_{ij} \cdot \sigma_i \cdot \sigma_j} < \sigma_p \\ w_0 + \sum_{i=1}^n w_i = 1 \\ w_i \geq 0 \end{array} \right. \quad \text{ბ)}$
---	--

ნახ.1. ტობინის პორტფელის მინიმალური რისკი (ა) და მაქსიმალური ეფექტურობა (ბ)

5. ტობინის მოდელის პრაქტიკული გამოყენება

განვიხილოთ მაგალითისთვის ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელი ტობინის მოდელით. ამისათვის აუცილებელია ჩამოვტვირთოთ ფასიანი ქაღალდების კოტირება. მიღებული იქნა ჩვეულებრივი აქციების ღირებულება: ლუკოილის, ვთბ ბანკის და აეროფლოტის, შემდეგი პერიოდისთვის 1 ოქტომბერი 2014 წელი – 1 ოქტომბერი 2015 წელი. აღვნიშნოთ, რომ ფასიანი ქაღალდების შერჩევისას უნდა ვისარგებლოთ დივერსიფიკაციის პრინციპით, რომელიც მდგომარეობს ფასიანი ქაღალდების კაპიტალის განაწილებაში, სხვადასხვა დარგის დასახელების კომპანიების საქმიანობაში. ასევე აღებული იქნა ურისკო აქტივები - სახელმწიფო კორპორაციული ობლიგაციები, 2015 ოქტომბრის მოგება, რომელიც შეადგენს წლიურ 13,63%-ს. სურათზე ასახულია ფასიანი ქაღალდების ღირებულება.

შემდგომ ეტაპზე აუცილებელია ფასიანი ქაღალდების მოგების გამოთვლა, ამისათვის გამოყენებულია Excel-ის ფორმულები, რომელიც ქვემოთ არის მოცემული. ფასიანი ქაღალდებთან ერთად ურისკო აქტივებიც იქნება ჩართული პორტფელში - სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციები, რომელთა მოგებაც შეიძლება ვიპოვოთ ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე.

- ლუკოილის მოგებები = $(B5-B4)/B4$
- ვთბ ბანკის მოგებები = $(C5-C4)/C4$
- აეროფლოტის მოგებები = $(D5-D4)/D4$
- წლიური სმო (სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციები) მოგება = 13.63%
- ყოველთვიური სმო მოგება = 1.1%

მთელი საინვესტიციო პორტფელის მოგებების ანგარიში შედგება ცალკეული ფასიანი ქაღალდების მოგებების შეფასებით. მოგების შეფასება მომავლისათვის ზორციელდება მათემატიკური მოლოდინის განსაზღვრის მეშვეობით. ამისათვის გამოითვლება საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა დროის შერჩეულ პერიოდში. ყველა მოგებებისთვის EXCEL-ში შემდეგი ფორმულებით.

- ლუკოილის აქციების მოგებები = AVERAGE (E5:E16)
- ვთბ ბანკის აქციების მოგებები = AVERAGE (F5:F16)
- აეროფლოტის აქციების მოგებები = AVERAGE (G5:G16)

ყველა პორტფელის რისკი განისაზღვრება მოგებების ცვლილების შეფასებით ყველა აქციაზე და მათ ზიარ კორელაციაზე. დასაწყისისათვის შევაფასოთ რისკები ყველა ფასიანი ქაღალდის სტანდარტული გადახრიდან საშუალო მოგებამდე.

ფასიანი ქაღალდების რისკების გამოთვლის ფორმულა წარმოდგენილია ქვემოთ:

- ლუკოილის აქციების რისკები = STDEV (E5:E16)
- ვთბ ბანკის აქციების რისკები = STDEV (F5:F16)
- აეროფლოტის აქციების რისკები = STDEV (G5:G16)

ცალკეული აქციების რისკების შეფასების შემდეგ აუცილებელია შეფასდეს მთლიანი პორტფელის რისკები და მოგებები.

ფასიანი ქაღალდების პორტფელის რისკის შეფასებით ვგებულობთ ფასიანი ქაღალდების მოგებების კოვარიაციის გაწონასწორებულ ნამრავლს (ანალიტიკური ფორმულა მოცემული იყო ზემოთ).

გამოვიტვალთ აქციების მოგების კოვარიაციული მატრიცა, ამისათვის გამოვიყენოთ EXCEL-ში დამატება „კოვარიაცია“:

Data->“aDataAnalysis“->„Covariance“

კოვარიაცია ასახავს სტატისტიკური სიდიდის ურთიერთდამოკიდებულების დონეს.

ჯამში ჩვენ მივიღებთ აქციებს შორის მოგებების კოვარიაციას, რომელშიც წარმოდგენილია ქვემოთ სურათზე.

გამოვიტვალთ მთლიანად საინვესტიციო პორტფელის მოგებები. ამისათვის განვსაზღვროთ საწყისი წილი ჩვენს ჯერ კიდევ არაოპტიმიზირებული პორტფელში 0.3, 0.3, 0.3 და 0.1 ლუკოილი, ვთბ ბანკი, აეროფლოტი და FKO. დათვლისათვის საჭიროა Excel-ში მოვახდინოთ აქციების წილების მატრიცის ტრანსპონირება პორტფელში (Tw). პორტფელის საერთო მოგება მოიცავს თავის თავში ფასიანი ქაღალდების მოგების გაწონასწორებულ თანხას და ურისკო აქტივებს. ამავე დროს წილის თანხამ არ უნდა გადააჭარბოს ერთეულს. პორტფელის საერთო რისკი და მოგებები, ასევე წილების შეზღუდვა გამოითვლება ფორმულით.

აქციების პორტფელის რისკი= $SQRT(MMULT(MMULT(E25:G25,E22:G24),C22:C24))$

საინვესტიციო პორტფელის მოგებები= $E17*E25+F17*F25+G17*G25+H4*H25$

პორტფელის წილის შეზღუდვა= $SUM(E25:H25)$

ჯ. ტობინის პორტფელის საინვესტიციო ფორმირება						
ლოკოილი	ვთბ ბანკი	აეროფლოტი	ლოკოილის მოგება	ვთბ ბანკის მოგება	აეროფლოტის მოგება	ჯგო მოგება
2120	0.03993	38.2				1.10%
2291.7	0.0467	41.78	8%	17%	9%	
2225	0.067	32.23	-3%	43%	-23%	
2789.9	0.06894	38.25	25%	3%	19%	
2981.2	0.068	39.19	7%	-1%	2%	
2705	0.06	34	-9%	-12%	-13%	
2645.6	0.0655	38.15	-2%	9%	12%	
2461.3	0.08025	41.1	-7%	23%	8%	
2469.9	0.079	38.24	0%	-2%	-7%	
2537.6	0.072	39.35	3%	-9%	3%	
2531	0.069	40	0%	-4%	2%	
2242.9	0.0677	35.23	-11%	-2%	-12%	
2338.8	0.0775	49	4%	14%	39%	
მოსალოდნელი მოგებები (ri)			1%	7%	3%	
აქციების რისკები (σ)			10%	16%	16%	
აქციების მოგებების კოვარიაციული მატრიცა						
წილი (w)	ლოკოილი	ვთბ ბანკი	აეროფლოტი			
0.3	ლოკოილი	0.008686083	0			
0.3	ვთბ ბანკი	-0.000262584	0.022470131			
0.3	აეროფლოტი	0.00779566	-0.000299656	0.024595582		
წილი (wT)		0.3	0.3	0.3	0.1	
პორტფელის საერთო რისკი				8%		
პორტფელის საერთო მოგება				3%		
შეზღუდვა წილების მიხედვით				1		

**ნახ.1. ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელის ოპტიმიზაცია
მაქსიმალური ეფექტურობისათვის**

პორტფელის ინვესტირების მეორე ამოცანა არის პორტფელის ისეთი სტრუქტურის განსაზღვრა, რომლის დროსაც საინვესტიციო პორტფელს აქვს მოგების მაქსიმალური დონე, პოცემული რისკის დონის პირობებში. მოცემული ამოცანის ამოხსნისათვის გამოვიყენეთ EXCEL-ის „ამოხსნის ძიება“ მიზნის ფუნქციის უჯრაში ყენდება გზავნილი პორტფელის მოგების ფორმულისათვის. აუცილებელია დავაყენოთ ალამი „მაქსიმალური მნიშვნელობა“-ზე.

მაქსიმალური მიზნობრივი უჯრისათვის აქციის წილის და აქტივების ცვლილებისას. ასევე უნდა მივუთითოთ წილის შეზღუდვა და პორტფელის რისკის დონის შეზღუდვა. რისკის მაქსიმალური დონე ავილოთ $\sigma \leq 3\%$

რეზულტატს აქვს შემდეგი სახე (ნახ.2). ლუკოილის წილი შეადგეს 0-ს, ვთბ ბანკის წილი შეადგენს 14%, აეროფლოტის წილი შეადგენს 0, ურისკო აქტივების წილი შეადგენს 86%-ს. პორტფელის საერთო დონეს არ გადაუჭარბებია 3% შეზღუდვას, და მოგებამ შეადგინა 2%-ი.

X. ტობინის პორტფელის საინვესტიციო ფორმირება							
თარიღი	ლუკოილი	ვთბ ბანკი	აეროფლოტი	ლუკოილის მოგება	ვთბ ბანკის მოგება	აეროფლოტის მოგება	გკო მოგება
1/10/2014	2120	0.03993	38.2				1.10%
1/11/2014	2291.7	0.0467	41.78	8%	17%		9%
1/12/2014	2225	0.067	32.23	-3%	43%		-23%
1/1/2015	2789.9	0.06894	38.25	25%	3%		19%
1/2/2015	2981.2	0.068	39.19	7%	-1%		2%
1/3/2015	2705	0.06	34	-9%	-12%		-13%
1/4/2015	2645.6	0.0655	38.15	-2%	9%		12%
1/5/2015	2461.3	0.08025	41.1	-7%	23%		8%
1/6/2015	2469.9	0.079	38.24	0%	-2%		-7%
1/7/2015	2537.6	0.072	39.35	3%	-9%		3%
1/8/2015	2531	0.069	40	0%	-4%		2%
1/9/2015	2242.9	0.0677	35.23	-11%	-2%		-12%
1/10/2015	2338.8	0.0775	49	4%	14%		39%
მოსალოდნელი მოგებები (ri)				1%	7%		3%
აქციების რისკები (σ)				10%	16%		16%
აქციების მოგებების კოვარიაციული მატრიცა							
წილი (w)				ლუკოილი	ვთბ ბანკი	აეროფლოტი	
0.3		ლუკოილი		0.008686083	0	0	
0.3		ვთბ ბანკი		-0.000262584	0.022470131	0	
0.3		აეროფლოტი		0.00779566	-0.000299656	0.024595582	
		წილი (wT)		0	0.14	0	0.864910654
პორტფელის საერთო რისკი					3%		
პორტფელის საერთო მოგება					2%		
შეზღუდვა წილების მიხედვით					1		

**ნახ.2. ფასიანი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელის ფორმირება
მაქსიმალური ეფექტურობით EXCEL-ში**

6. დასკვნა

რეზულტატს აქვს შემდეგი სახე, წარმოდგენილი ქვემოთ ლუკოილის წილი შეადგეს 0-ს, ვობ ბანკის წილი შეადგენს 14%, აეროფლოტის წილი შეადგენს 0, ურისკო აქტივების წილი შეადგენს 86%-ს. პორტფელის საერთო დონეს არ გადაუჭარბებია 3% შეზღუდვას, და მოგება შეადგინა 2%-ი.

ლიტერატურა:

1. <http://bibliofond.ru/view.aspx?id=660124>.
2. <http://utmagazine.ru/posts/5571-model-portfelya-dzheymasa-tobina-i-ocenka-stoimosti-aktivov-capm>.
3. Tobin J. (1958). Liquidity Preference as Behavior Towards Risk. Review of Economic Studies.

INVESTMENT SECURITIES PORTFOLIO AND CALCULATION OF PORTFOLIO J. TOBIN

Gurgenidze Lasha
Georgian Technical University

Summary

Portfolio of J. Tobin is a kind of model investment by G. Markovits. Tobin model allows us to take into consideration following free-risk assets: Government bonds, bonds of highly reliable issuers and real estate. Assessment of risk and income has several disadvantages: The difficulty of forecasting future profitability of bonds. These disadvantages can be solved with the help of multivariate methods of forecasting risk and income.

ИНВЕСТИЦИОННЫЙ ПОРТФЕЛЬ ЦЕННЫХ БУМАГ И РАСЧЕТ ПОРТФЕЛЯ ДЖ. ТОБИНА

Гургенидзе Л.
Грузинский Технический Университет

Резюме

Портфель Дж. Тобина является разновидностью модели инвестиционного портфеля Г. Марковица. Модель Тобина позволяет учесть в формировании портфеля безрисковые активы: государственные облигации, облигации высоконадежных эмитентов (евробонды) и недвижимость. Оценка риска и доходности имеет ряд недостатков: сложность прогнозирования будущей доходности ценных бумаг на основании только изменения цены. Данные недостатки решаются с помощью многофакторных методов прогнозирования риска и доходности.

ვიდეოთამაშებში მულტიაგენტური დასჯავლის მეთოდების შესახებ

გიორგი აბელაშვილი, ზურაბ ბოსიკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


რეზიუმე

მულტიაგენტური ტექნოლოგია ყოველთვის ფართოდ გამოიყენებოდა კომპიუტერულ ვიდეოთამაშებში. იგი აერთიანებს თამეშების თეორიის, რთული სისტემების, გამოთვლითი სოციოლოგიისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხებს. არსებობს ისეთი სისტემები, რომელთა აგება ძალზე რთული ამოცანაა. ერთერთი მთავარი საკითხი ასეთ ამოცანებში არის აგენტის მიერ გარკვეული ცოდნის დასწავლა, ასევე ამ დასწავლილის სხვა აგენტისათვის მიწოდება - ცოდნის გაზიარება. ამ სტატიაში განვიხილავთ ცოდნის დასწავლის ერთერთ მეთოდს, ცოდნის მარკირების ამოცანას. ცოდნის მარკირების ამოცანა მოცემული იქნება კონკრეტული მაგალითით - ჭიანჭველების ამოცანით.

საკვანძო ტერმინები: ხელოვნური ინტელექტი. ინტელექტუალური აგენტი. მულტიაგენტური ტექნოლოგია. ცოდნის მარკირების ამოცანა. პროგრამული აგენტები.

1. შესავალი: ცოდნის ტიპები და ინტელექტუალური აგენტის ზოგადი მოქმედება

ვიდეოთამაშებში ადამია-მოთამაშებთან ერთად მონაწილეობას ღებულობს ხელოვნური (პროგრამული) აგენტები, რომლებიც მოთამაშესთან ერთად მოქმედებს დინამიკურ გარემოში, ფაქტებზე და წესებზე დაყრდნობით ღებულობს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ გადაწყვეტილებებს, ასევე აგენტები ასრულებს გარკვეულ ქმედებებს ინდივიდუალურად ან კოლექტიურად (ნახ.1).




ნახ.1. ადამიანისა და ხელოვნური აგენტის მოქმედება

მოქმედებისთვის პროგრამულ აგენტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ცოდნა. ეს ცოდნა აგენტებში შეიძლება ჩადებული იყოს სტატიურად კოდის სახით, ან მიეწოდებოდეს დინამიურად წესებისა და ფაქტების საშუალებით. რადგანაც აგენტები შეიძლება მოქმედებდნენ შემთხვევითად, ცვლად გარემოში, ასევე ადამიანი აგენტები (მოთამაშეები) შეიძლება იქცეოდნენ არადეტერ-

მინირებულად, შესაბამისად ეს ხელოვნური აგენტები აღჭურვილი უნდა იქნას სწავლების მექანიზმებით. სწავლება შეიძლება იყოს მასწავლებლის ან მასწავლებლის გარეშე (თვითსწავლება). აგენტები შეიძლება მოიპოვებდეს/უზიარებდეს სხვა აგენტებს შემდეგი სახის ცოდნას (ნახ.2):

- სენსიტიურ ცოდნას;
- ეპიზოდურ ცოდნას;
- ცოდნას წესების სახით;
- ცოდნას დავალებათა ბმულების სახით.



ნახ.2. სწავლების ტიპები და ნაკადები.

აგენტები შეიძლება ახორციელებდეს როგორც თვითსწავლებას, ასევე სხვების სწავლებას. სენსიტიური ცოდნა მოიცავს ინფორმაციას ობიექტების ადგილმდებარეობის, ზომის (რამდენი სიმბოლოსაგან შედგება) შესახებ. ეპიზოდური ცოდნა მოიცავს კონკრეტული ეპიზოდის აღწერას, ამ ეპიზოდში გამოყენებულ მოქმედებას და შედეგს. წესები განსაზღვრავს მოქმედების პირობებს ხოლო დავალებათა ბმულები აგენტების მიერ სხვა აგენტებზე გაცემულ დავალებებს (მიზანი, რესურსი).

სწავლების ზოგადი მიზანია კოოპერაციაში მყოფი აგენტების ისეთი მოქმედებების შერჩევის მოდელის შედგენა, რომელიც განაპირობებს აგენტების რაციონალურ ქმედებებს (სასარგებლოა როგორც თვითონ აგენტისთვის, ასევე კოოპერაციაში მყოფი სხვა აგენტებისთვისაც).

2. ცოდნის მარკირებისა და დასწავლის ამოცანა

ცოდნის მარკირება - არის გარკვეული სწავლების რაღაც ნიშნით გარკვეულ ადგილზე შენახვა, მარკირებული ნიშნის მიხედვით აგენტი პირდაპირი გზით სწავლობს შესაბამის მარკირებულ ფაქტს - იქნეს შესაბამის ცოდნას.

ვთქვათ, აგენტი x_i ღებულობს გარკვეულ ინფორმაციის X სიმრავლეს (ინფორმაცია შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის, სენსიტიური, ეპიზოდური და ა.შ.)

$$X = \{X_1, X_2, X_3, \dots, X_n\}$$

შესაბამისი X_i ინფორმაციას დისკრეტულ ორგანზომილებიან კოორდინატთა სისტემაში შეგვიძლია შევუსაბამოთ შესაბამისი $\{X_i, Y_i\}$ (0) წერტილი, ანუ ეს არის აგენტის არსებული მდებარეობა X ინფორმაციის მიღების დროს.


ნებისმიერი X_i აგენტი ნებისმიერი Y_k (0 ინფორმაციას გადაამუშავებს და ცოდნის ბაზაში შეინახავს, დაისწავლის, ხოლო ამ დასწავლილ შედეგს Y_k , იგი იმავე კოორდინატზე $\{X_k, Y_k\}$ დატოვებს, გაუკეთებს მარკირებას. ყოველი შემდეგი აგენტი, რომელიც მივა სიბრტყის $\{X_k, Y_k\}$ კოორდინატზე, იქ დახვდება X_k აგენტის მიერ დატოვებული Y_k ცოდნა და ის ამ ცოდნას პირდაპირი გზით შეინახავს ცოდნის ბაზაში.

თამაშებში მნიშვნელოვანია ცოდნის გადამუშავებისა და შენახვის სისწრაფე ცოდნის ბაზაში, ნებისმიერი აგენტისთვის ცოდნის მოპოვება დამოუკიდებელი ამოცანაა, იგი დაკავშირებულია კომპიუტერულ რესურსებთან და, შესაბამისად, დროსთან, ცოდნის პირდაპირი გზით გადაცემით აგენტს დაწავლის სისწრაფე იზრდება.

3. ჭიანჭველების ამოცანა

შემდგომში ყველგან ვიგულისხმებთ, რომ პროგრამული აგენტები დელიბერაციულია და მხოლოდ სიმბოლების სამყაროში მოქმედებს.

ჩამოვყალიბოთ ჭიანჭველა-აგენტების ამოცანა. ჭიანჭველა-აგენტები და ობიექტები ორ განზომილებიან, უჯრებად დაყოფილ, შემოფარგულ სიბრტყეზე განთავსებული და შეუძლია ამ სიბრტყეში მოძრაობა მხოლოდ ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებებით (ნახ.3).



ნახ.3. ჭიანჭველების ამოცანის გრაფიკული პროტოტიპი

აგენტები ასევე შეიძლება გარკვეულ კოოპერაციაში იყოს გაერთიანებული. სიბრტყეზე შემთხვევითად ჩნდება ობიექტები (ფოთლები), რომლებიც წარმოადგენს შეზღუდული ანბანის შედგენილ მიმდევრობათა მიმდევრობას. აგენტს შეუძლია შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

- შეზღუდული ზომის ფოთლის გადაადგილება;
- ფოთლის დაჭრა იმ სიმბოლოზე რომელსაც იცნობს;
- გამოყოფილი სიმბოლოს შენახვა საცავში;
- თამაშის მიზანია გარკვეულ დროში კოოპერაციაში მყოფმა ჭიანჭველმა - აგენტებმა, რაც

შეიძლება მეტი სიმბოლოები დაავროვოს. აგენტები თავდაპირველად შემთხვევით პოზიციებში თავსდება და შეუძლია ერთდროულად მოძრაობა. ასევე კოოპერაციაში მყოფმა აგენტებმა შეიძლება მოქმედებები ერთდროულად შეასრულოთ, მაგალითად, სამმა აგენტმა გადაიტანოს დიდი ზომის ფოთლი.

კონკრეტულ ამოცანაში მოცემულია რთული დავალება, რომელიც ინდივიდუალური აგენტის მიდგომით რთული ამოსახსნელია, საჭიროა აგენტთა კოოპერაცია. აგენტთა კოოპერაციაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს ცოდნის გაზიარებას აგენტებს შორის, რათა მიზნის მიღწევა მოხდეს უფრო მარტივად. ცოდნის გაზიარების ერთერთი ეფექტური მეთოდია ცოდნის მარკირების ამოცანა.

4. ცოდნის მარკირება ჭიანჭველების ამოცანის მაგალითზე

კონკრეტულ მაგალითში, ვთქვათ, ნებისმიერ ჭიანჭველას კოლონიაში გააჩნია თავისი როლი:

მზვერავი – ჭიანჭველა, რომელიც ეძებს შესაბამისი ზომის ფოთლებს, შესაბამისი ფოთლის პოვნის შემთხვევაში იგი ამავე ფოთლის შესაბამის კოორდინატზე - $\{x_i, y_i\}$ ტოვებს ცოდნას, ფაქტს ფოთლის ვარგისიანობაზე, ახდენს ძებნის ინფორმაციის მარკირებას.

ფოთლების მჭრელი – ჭიანჭველები, რომლებსაც აქვს საწყისი ცოდნა სიმბოლოებზე, ანუ ისინი ცნობს მხოლოდ მარტივ სიმბოლოებს, თუ ფოთლი შეიცავს ამ სიმბოლოს ეს ჭიანჭველები შესაბამისი ფოთლის ნაწილს მოაჭრიან.

გადამზიდავები - ჭიანჭველები, რომლებიც ეძებს უკვე ფოთლებისგან ჩამოჭრილ სიმბოლოებს და მიაქვთ საცავში.

მზვერავები მიდის სიბრტყეზე და ეძებს შესაბამის ვარგისიან ფოთლებს. ფოთლის ამოსაცნობად აგენტები იყენებს საწყის პარამეტრებს ცოდნის ბაზიდან. ფოთლის პოვნის შემთხვევაში მზვერავი ტოვებს კვალს, შესაბამისი ფოთლის კოორდინატზე, კვალი არის მარკირებული ინფორმაცია ფოთლის ვარგისიანობაზე, მზვერავი აგრძელებს გზას შემდეგი ფოთლის საძებნელად.

ფოთლის მჭრელი ჭიანჭველებიც მზვერავების პარალელურად მოძრაობს იმავე სიბრტყეზე, მათი მიზანია იპოვონ მზვერავის მიერ დატოვებული მარკირებული კვალი, რომელიც ფოთლის ვარგისიანობაზე მიუთითებს. მათ ამის შესახებ აქვთ წინასწარ გაწერილი ცოდნა ცოდნის ბაზაში. თუ მჭრელმა იპოვა მზვერავის ნიშანი, ესე იგი მას ვარგისიანი ფოთლი უპოვია. კვალის პოვნის შემთხვევაში მჭრელი ამოწმებს მის მოსვლამდე იყო თუ არა მოსული სხვა, მსგავსი მჭრელი, რომელიც მის მსგავსად, იმავე სიმბოლოს ცნობს. თუ წინამორბედმა ვერ იპოვა საერთო სიმბოლო, იგი ამის შესახებ ნიშანს დატოვებდა, სწორედ ამ ნიშნის მიხედვით ყოველი შემდეგი მოსული იქცევა შემდეგნაირად, თუ ფოთლში არ არის სიმბოლო და ეს მან ნიშნით გაიგო, გზას გააგრძელებს, თუ არა, მოძებნის თავის შესაბამის ამოცნობად სიმბოლოს, თუ იპოვა მოჭრის მას, თუ ვერა დატოვებს ნიშანს რომ შესაბამისი მისი სიმბოლო ფოთლში ვერ მოიძებნა, ანუ ის

აგენტი იქნება პირველი ვინც შესაბამის ფოთოლთან მივიდა. ეს უკანასკნელი ცოდნა უკვე ყოველ შემდეგ მომსვლელ მჭრელს გამოადგება შესაბამისი მარკირების ნიშნით.

გადამზიდავების მოქმედება არის ბოლო ეტაპი, ისინი ეძებენ თითო სიმბოლოიან ფოთლებს და გადააქვთ საცავში.

ზემოთაღწერილი მაგალითი დამყარებულია აგენტთა მოქმედებაზე, რომლებიც ინდივიდუალურად მოქმედებს, თუმცა ერთმანეთს ცოდნას უზიარებენ და ამით ისინი ერთმანეთს აძლიერებენ.

კონკრეტული ამოცანა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჯგუფურად მოქმედ აგენტთა ამოცანა, როდესაც გვაქვს ჭიანჭველათა ჯგუფი (რამდენიმე მძებნელი, რამდენიმე მჭრელი, და ა.შ.). შესაძლებელია ქცევის ცალსახა ცვლილებები ვიხილოთ, მაგალითად, მჭრელებმა შეიძლება უფრო რთული ფოთლები დაჭრან ერთად, გადამზიდებმა უფრო დიდი ფოთლები წაიღონ საცავში და მჭრელებმა მერე იქ დაჭრან. ეს გადაწყვეტილებები დამოკიდებულია უკვე გადაწყვეტილებათა სირთულეზე და დასკვნის გამოტანაზე, შესაბამისად განისაზღვრება ამოცანის ამოხსნის წარმატება და დროში შესრულებული დავალებები.

[1] ნაშრომში აღწერილია აგენტთა გაძლიერებითი სწავლება და სწავლითი ალგორითმი, სადაც თვითოეულ ჯერზე გადაწყვეტილების მიღება დაფუძნებულია ჯილდოზე. ჯილდო პირობითად არის მიზნის მიღწევის შედეგად მიღებული სარგებელი, ეს სარგებელი არის კონკრეტულ თამაშზე დამოკიდებული (პირობითად, ჯილდო შეიძლება იყოს თამაშის მოგება).

თუ ჩვენ გვაქვს არსებული მდგომარეობა და ხელმისაწვდომი მოქმედება, მაშინ დასწავლითი ალგორითმი აირჩევს ყოველ -ს, რომლის ალბათობითი მნიშვნელობა მოიცემა ბოლცმანის ტოლობით [2]:

$$p(a_i|x) = \frac{e^{Q(x,a_i)/T}}{\sum_{\text{actions}} e^{Q(x,a_i)/T}} \quad (1)$$

სადაც T არის ტემპერატურის პარამეტრი და ის განსაზღვრავს გადაწყვეტილებათა მიღების შემთხვევითობას. აგენტი იღებს გადაწყვეტილებას და იღებს ჯილდო r შემდეგ კი გადადის ახალ მდგომარეობა y . ყოველ ჯერზე აგენტი ანახლებს $Q(x,a)$ - რეკურსიულად, უმატებს პოზიტიურობის წონას β და აკლებს სამომავლო რესურსებს:

$$Q(x,a) \leftarrow Q(x,a) + \beta(r + \gamma V(y) - Q(x,a)) \quad (2)$$

აქ $\gamma (0 \leq \gamma < 1)$ არის კლებადობის პარამეტრი და $V(x)$ მიიღება შემდეგი გამოსახულებით:

$$V(x) = \max_{b \in \text{actions}} Q(x,b) \quad (3)$$

5. დასკვნა

სტატიში არსებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ თამაშებში არსებული ხელოვნური ინტელექტის ამოცანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ინტელექტუალური აგენტის ცოდნის დასწავლის მეთოდები, ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ინდივიდუალური აგენტის მთავარი პრობლემა არის ის, რომ იგი სხვა აგენტის ცოდნას აიგნორებს, ამ შემთხვევაში კი ამოცანის წარმატება კლებულობს და შესრულებადობის დროც იზრდება.

ცოდნის მარკირების ამოცანით დავინახეთ, რომ ინდივიდუალურ აგენტებს შორის დასწავლა ვითარდება და საერთო ცოდნაც იზრდება, საერთო ცოდნის გაზრდის დროს კი თვითოეული

აგენტის შესაძლებლობაც იზრდება. მარკირების ამოცანის მოდელი შეგვიძლია სხვა კონკრეტულ ამოცანებსაც მოვარგოთ, ამისათვის საჭიროა შევქმნათ ხელოვნური ინტელექტის პროგრამული ძრავი, რომელიც უკვე სამომავლო კვლევის საგანია.

ლიტერატურა:

1. Ming Tan. Multi-Agent Reinforcement Learning: Independent vs. Cooperative Agents. GTE Laboratories Incorporated 40 Sylvan Road Waltham, MA 02254 tan@gte.com
2. Boltzmann Distribution - https://en.wikipedia.org/wiki/Boltzmann_distribution

METHOD FOR MULTI-AGENT LEARNING IN COMPUTER GAMES

Abelashvili Giorgi, Bosikashvili Zurab
Georgian Technical University

Summary

Multiple-agent technology has always been widely used in computer games. It combines game theories, compound systems, applied sociologies and artificial intelligence. There are systems which are hard to create. One of the case in such system is to make agent learn something, and afterwards to give this kind of knowledge to another agent - making agents share the knowledge. In this article, we will review the method of making agents share their knowledge - problem of knowledge marking. Problem of knowledge marking will be shown as an example of Ants Colony.

МЕТОД МНОГОАГЕНТНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ В КОМПЬЮТЕРНЫХ ИГРАХ

Абелашвили Г., Босикашвили З.

Грузинский Технический Университет

Резюме

Мультиагентная технология всегда широко используется в компьютерных играх. Она сочетает в себе игровые теории, составные системы, применяемые социологии и искусственный интеллект. Существуют такие системы, построение которых является очень сложной задачей. В таких случаях одним из важнейших вопросом является обучение агентом определенных знаний, а также предоставление этих знаний другим агентам. В статье рассматривается один из методов обучения-задача маркировки знаний. Задача маркировки знаний дана на конкретном примере-задача муравьев.

ხელოვნური ინტელექტის არგუმენტაციის მექანიზმის გამოყენება ვიდეოთამაშებში

გიორგი აბელაშვილი, ზურაბ ბოსიკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ვიდეო თამაშებში არსებობს მრავალი ამოცანა, რომელთა მთავარი მოქმედი სუბიექტებია აგენტთა გაერთიანებები, ჯგუფები. ისინი იღებენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ გადაწყვეტილებებს. კოლექტიური გადაწყვეტილებები დამოკიდებულია ინდივიდუალურზე ე.წ. არგუმენტაციის მექანიზმით. აგენტები ჯგუფში ყოველთვის ერთნაირად არ მსჯელობენ და მოქმედებენ, მათი მიზანია მიაღწიონ კონსენსუსს, რომელიც საბოლოოდ ამ კოლექტივის გადაწყვეტილება იქნება. აგენტთა ჯგუფის ერთიანი გადაწყვეტილება, კონსენსუსის მიღწევის ერთ-ერთი ცნობილი მეთოდია არგუმენტაციის მექანიზმი. სტატიაში განვიხილავთ არგუმენტაციის მექანიზმს კონკრეტულ მაგალითზე - ჭიანჭველების ამოცანის მოდელზე.

საკანძო სიტყვები: ინტელექტუალური აგენტი. არგუმენტის შეტევა. VAF. პათერნი.

1. შესავალი: ვიდეოთამაშებში აგენტების გადაწყვეტილებები

ნებისმიერ ვიდეოთამაშში, სადაც მოცემულია მულტიაგენტური ტექნოლოგია, ძალიან მნიშვნელოვანია აგენტთა გადაწყვეტილების გამომტანი მექანიზმი. სტანდარტულად, აგენტს განვიხილავთ როგორც ინდივიდუალურს, შესაბამისად, მისი ქცევა უნდა იყოს ინდივიდუალური გადაწყვეტილებების გამომტანი სისტემის ქვემდგომი. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აგენტები გაერთიანებულია კოლექტივებად, ჯგუფებად. თუ გადაწყვეტილების გამოსავალი წერტილი არის ამ აგენტთა ჯგუფის მიერ მიღებული საერთო გადაწყვეტილება, მაშინ მნიშვნელოვანია აგენტები შეთანხმდნენ გარკვეულ კონსენსუსზე, რომელიც ყველაზე მეტად ახლოს მდგომია სასურველ გამომავალ შედეგთან. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ყველა აგენტი დამოუკიდებლად მოქმედებს, როგორ შეიძლება ისინი რამეზე შეთანხმდნენ, ან რის მიხედვით მიანიჭონ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას პრიორიტეტი? ასეთ შემთხვევაში, არსებობს არგუმენტაციის მექანიზმი. ამ მექანიზმის საშუალებით აგენტები გამორიცხავენ და ადასტურებენ ერთმანეთის ლოგიკურ არგუმენტებს და ფაქტებს. საბოლოო შედეგი კი არის კოლექტივის მიერ მიღებული საერთო გადაწყვეტილება. განვიხილოთ არგუმენტაციის მექანიზმი ჭიანჭველების ამოცანის მაგალითზე.


2. ჭიანჭველების ამოცანა

შემდგომში ყველგან ვიგულისხმებთ, რომ პროგრამული აგენტები დელიბერაციულია და მხოლოდ სიმბოლების სამყაროში მოქმედებს.

ჩამოვყალიბოთ ჭიანჭველა-აგენტების ამოცანა. ჭიანჭველა-აგენტები და ობიექტები ორ განზომილებიან, უჯრებად დაყოფილ, შემოფარგულ სიბრტყეზე განთავსებული და შეუძლია ამ სიბრტყეში მოძრაობა მხოლოდ ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებებით (ნახ.3).

აგენტები ასევე შეიძლება გარკვეულ კოორდინატაში იყოს გაერთიანებული. სიბრტყეზე შემთხვევითად ჩნდება ობიექტები (ფოთლები), რომლებიც წარმოადგენს შეზღუდული ანბანის შედგენილ მიმდევრობათა მიმდევრობას. აგენტს შეუძლია შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

- შეზღუდული ზომის ფოთლის გადაადგილება;
- ფოთლის დაჭრა იმ სიმბოლოზე რომელსაც იცნობს;



ნახ.3. ჭიანჭველების ამოცანის გრაფიკული პროტოტიპი

- გამოყოფილი სიმბოლოს შენახვა საცავში;
- თამაშის მიზანია გარკვეულ დროში კოლოპერაციაში მყოფმა ჭიანჭველმა - აგენტებმა, რაც შეიძლება მეტი სიმბოლოები დააგროვოს. აგენტები თავდაპირველად შემთხვევით პოზიციებში თავსდება და შეუძლია ერთდროულად მოძრაობა. ასევე კოლოპერაციაში მყოფმა აგენტებმა შეიძლება მოქმედებები ერთდროულად შეასრულოთ, მაგალითად, სამმა აგენტმა გადაიტანოს დიდი ზომის ფოთოლი.

3. არგუმენტაციის მექანიზმი

არგუმენტაციის პათერნი არის მრავალჯერ გამოყენებადი პრობლემის გადაჭრის ხერხი არგუმენტაციის მექანიზმში. პათერნები წარმოდგენს შემდეგი სახის აღწერებს:

<პათერნი> ::= <<თვისება><მნიშვნელობა>?<ვალიდურობა>>*

<<მიმართება><მნიშვნელობა>?<ვალიდურობა>>*

<მიმართება> ::= <ISA მიმართება>|<კომპოზიციის მიმართება> / <აგრეგირების მიმართება>

<თვისება> ::= თვისების აღმნიშვნელი ტერმი

<მნიშვნელობა> ::= R^n | დისკრეტული სიმრავლე

<ვალიდურობა> ::= {true,false} / [0,1]C R

<კომპოზიციის მიმართება> ::= მთელი-ნაწილი მიმართება

<აგრეგირების მიმართება> ::= ასოცირების მიმართება

კონკრეტულ მაგალითში, ვთქვათ, ნებისმიერ ჭიანჭველას კოლონიაში გააჩნია თავისი როლი: მზვერავი - ჭიანჭველა, რომელიც ეძებს ვარგის ზომის ფოთლებს.

ფოთლების მჭრელი - ჭიანჭველები, რომლებსაც აქვთ საწყისი ცოდნა სიმბოლოებზე, ანუ ისინი ცნობენ მხოლოდ მარტივ სიმბოლოებს, თუ ფოთოლი შეიცავს ამ სიმბოლოს ეს ჭიანჭველები შესაბამისი ფოთლის ნაწილს მოაჭრიან.

გადამზიდავები - ჭიანჭველები, რომლებიც ეძებენ უკვე ფოთლებისგან ჩამოჭრილ სიმბოლოებს და მიაქვთ საცავში.

თუ ჭიანჭველების ამოცანას ცალკეული როლების მიხედვით განვიხილავთ, ამოცანა მარტივია, გამოსავალი შედეგი თვითოეული როლისათვის არის ცალსახა, ჭიანჭველა აკეთებს ინდივიდუალურ დასკვნებს და იქცევა ინდივიდუალურად.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ჭიანჭველები უნდა გაერთიანდნენ ჯგუფებად და ისე იმოქმედონ, მაგალითად, მძებნელმა უნდა აიყვანოს ჯგუფში კარგი ფოთლის მჭრელი, შესაბამისად ფოთლის მჭრელმაც შეიძლება დაიმატოს გუნდში კარგი გადამზიდავი, ან ფოთლის მძებნელი. თუ ჩვენ ნებისმიერი ახალი გუნდის წევრის დამატებას კოლექტიურ გადაწყვეტილებად გავიტანთ, ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს არგუმენტაციის ამოცანასთან, გუნდში არსებული ჭიანჭველები უნდა შეთანხმდნენ დაიმატონ თუ არა ახალი წევრი მისი მონაცემების მიხედვით გუნდში. არსებობს რამდენიმე ტიპის არგუმენტაციის მექანიზმი, განვიხილოთ თვითოეული მათგანი [4].

3.1. კლასიკური არგუმენტაციის მექანიზმი

მოდელი, რომელიც წარმოდგენილია წყვილით $AF = (AR, attacks)$, სადაც AR არის არგუმენტების სია, ხოლო attacks, AR - ის ბინარული მიმართება. attack (A, B) ნიშნავს, რომ არგუმენტი A უტევს არგუმენტ B-ს. S არგუმენტების სია უტევს არგუმენტ B-ს, თუ B არის შეტევის ქვეშ S-ში. ამ მოდელის არგუმენტაციის არსებითი კითხვაა, როდის შეიძლება იყოს მიღებული A არგუმენტი სადაც A, A AR. არგუმენტი შეიძლება იყოს მიღებული იმ შემთხვევაში, თუ მასზე შემტევი ყველა არგუმენტი არის მიღებული [1,2].

3.2. მნიშვნელობაზე დამყარებული არგუმენტაციის მექანიზმი

არსებობს არგუმენტაციის მექანიზმი, რომლის პრინციპი დამყარებულია მნიშვნელობაზე - (VAF) Value-based Argumentation Framework. [4] ეს მოდელი ადგენს რომელი არგუმენტები არის მისაღები სხვა აგენტების არგუმენტების გათვალისწინებით. როგორც ვიცით, აგენტებს აქვთ განსხვავებული მიდგომა დავალებებისადმი და ამ შემთხვევაში ისინი თანამშრომლობენ და ცვლიან თავიანთ ლოკალურ გამოძავალ შედეგებს.

VAF - ს შეუძლია განაცალკევოს შეტევები (attacks) წარმატებული შეტევებისგან, იმ შეტევებისგან, რომლებიც ამარცხებს სხვა არგუმენტებს. ისინი ითვალისწინებს იმ მნიშვნელობათა მიმდევრობას, რომლებიც ასოცირებულია ამ არგუმენტებთან [3].

VAF გამოისახება როგორც:

$$VAF = (AR, attacks, V, val, P),$$

სადაც

- $AR, attacks$ არის არგუმენტაციის მოდელი;
- V - არაცარიელ მნიშვნელობათა სიმრავლე;
- val - ფუნქცია, რომელიც ასახავს ელემენტებს AR -დან V და P ,
- P - ყველა შესაძლო შემთხვევის სია.

$$\text{ყოველი } A \in AR, val(A) \in V.$$

3.3. აგენტების მიერ თვისობრივი არგუმენტების გენერაცია

თვისობრივი არგუმენტაციის გენერაცია [4] იწყება მაშინ, როცა ობიექტის თვისებების შეთავსების აგენტებმა თავიანთი საქმე დაამთავრეს. არგუმენტაციის დასაგენერირებლად გამოიყენება $\varphi(g_i^p(o), g_i^p(t))$ ფუნქცია და ღარდება მათი თვისებების სიმრავლეები.

1-ელ ცხრილში მოყვანილია c და h -ის მნიშვნელობები. თუ მოხდა პატერნთან სრული თანხვედრა მაშინ, ყველაფერი გარკვეულია და მისი კონფიდენციალობის დონე არის უდავო და სხვა აგენტები ვერ შეეკამათებიან ამ არგუმენტს. მაშინ, როცა ხდება ნაწილობრივი შეთავსება და შეთავსების ფუნქცია დადებითია მაშინ კონფიდენციალობა გაურკვეველია და შესაძლებელია ამ არგუმენტაციის გაპროტესტება.

ცხრ.1

C	+(h)
უდავოა	თუ ობიექტის ყველა თვისება 0 თანხვედრაშია პატერნ t-ს თვისებებთან და შესაბამისად, მნიშვნელობებიც ემთხვევა და $\varphi(g^p(o), g^p(t)) \geq 0$
სადავოა	თუ ობიექტის ყველა თვისება 0 მსგავსია პატერნ t-ს თვისებებთან, ან / და შესაბამისად, მნიშვნელობებიც არ ემთხვევა და $(g^p(o), g^p(t)) \geq 0$
C	-(h)
სადავოა	სხვა შემთხვევაში $\varphi(g^p(o), g^p(t)) < 0$

3.4. აგენტების მიერ მიმართებითი არგუმენტების გენერაცია

მიმართებითი არგუმენტაციის პროცესი [4] იწყება მაშინ, თუ თვისობრივი არგუმენტი გენერირებულია და ის განიცდის შეტევას, ამასთან ყველა გამოსაცნობი ობიექტის ყველა ქვეობიექტი უნდა იყოს პატერნებთან შეთავსებული.

მე-2 ცხრილში მოყვანილია არგუმენტების კონფიდენციალობის და კონტრარგუმენტების წამოყენების პირობები. აქ არგუმენტაციის გამოსათვლელად გამოიყენება $\varphi(g^r(o), g^r(t))$ ფუნქცია.

ცხრ.2

უდავოა	თუ ობიექტის ყველა თვისება 0 თანხვედრაშია პათერნ t-ს თვისებებთან და ყველა ქვე-ობიექტების მნიშვნელობაც თანხვედრაშია და შესაბამისად, თუ ყველა თვისების მნიშვნელობებიც ემთხვევა და $\varphi(g^r(o), g^r(t)) \geq 0$
სადავოა	თუ ობიექტის ყველა თვისება 0 თანხვედრაშია პათერნ t-ს თვისებებთან და ყველა ქვე-ობიექტების მნიშვნელობაც თანხვედრაშია და თუ ყველა თვისების მნიშვნელობებიც არ ემთხვევა და $\varphi(g^r(o), g^r(t)) \geq 0$
C	-(h)
სადავოა	სხვა შემთხვევაში $\varphi(g^r(o), g^r(t)) < 0$

3.5. აგენტების მიერ სტრუქტურული არგუმენტაციის გენერაცია

სტრუქტურული აგენტები არგუმენტების გენერაციას განიხილავს ცნებების ონტოლოგიური იერარქიის კონტექსტში [4], როცა მოცემული ობიექტი შეიძლება შეუთავსდეს იერარქიის ნებისმიერ ცნებას. რა თქმა უნდა არგუმენტების გენერირება იწყება ზევიდან ქვევით და ალგორითმი უნდა ჩავიდეს რაც შეიძლება ღრმად. თუ რომელიმე დონეზე ვერ მოხერხდა შეთავსება თვისობრივად და მიმართებრივად და არის გაურკვევლობა, მაშინ იერარქიის დაბალ საფეხურებზე მდგომი ცნებები უნდა მოინიშნოს როგორც არა გამოცნობადი, უდავო კონფიდენციალობით და მათთვის არგუმენტები აღარ უნდა დაგენერირდეს. თუ იერარქიის რომელიმე დონეზე გვაქვს განუზრვრელობის კონფიდენციალობა და კონტრ არგუმენტი არსებობს ამ დონეზე, მაშინ ეს ცნებაც უნდა მოინიშნოს როგორც არა გამოცნობადი, უდავო კონფიდენცი- ალობით და არგუმენტაცია უნდა გაგრძელდეს მშობელი ცნებისთვის (ცხრილი 3).

ცხრ.3

N	აგენტის დანიშნულება	კოდი	ტიპი	რაოდენობა
1	ობიექტების გამოყოფა	AO	Slave	m
2	თვისებების მნიშვნელობების გამოთვლა	AP	Slave	m+1
3	ობიექტის თვისებების შეთავსება პათერნის თვისებებთან	APM	Slave	m+n
4	ობიექტის მიმართების შეთავსება პათერნის მიმართებებთან	ARM	Slave	m+n
5	ობიექტის სტრუქტურის შეთავსება პათერნის	ASM	Slave	m+n
6	არგუმენტების გენერატორები	AA	Master	m+n
7	გადაწყვეტილების მიმღები	ADM	Guru	1

სადაც m-ქვეობიექტების კლასების რაოდენობაა, n-გამოსაცნობი კლასების რაოდენობა.

პირველ რიგში მუშაობას იწყებენ თვისებების გამოთვლელი და ობიექტების გამოყოფი აგენტები. თვისებების გამოთვლელი აგენტები მუშაობას იწყებს იმ შემთხვევაში, როგორც კი რაიმე ობიექტი არსებობს ან გამოიყოფა. თავის მხრივ, თვისების შეთავსების აგენტები მაშინ აქტიურდება, როდესაც თვისებების მნიშვნელობები გამოთვლილია. ამის შემდეგ აქტიურდება თვისებების მიხედვით არგუმენტაციის გენერატორი აგენტები.

თუ მოცემული კლასისთვის თვისებები გამოთვლილია და არსებობს კონტრ-არგუმენტი თვისებების მიხედვით ამ კლასის შესახებ, მაშინ აქტიურდება მიმართებათა შეთავსების აგენტები, რომელთა შემდეგაც იწყებენ მუშაობას მიმართებების მიხედვით არგუმენტაციის გენერატორი აგენტები. თუ მოცემული კლასისთვის კონტრ არგუმენტები მაინც ჩნდება მაშინ იწყებენ მუშაობას შესაბამისად სტრუქტურის შემთავსებელი და არგუმენტების გენერატორი აგენტები.

მას შემდეგ რაც თითოეული არგუმენტების გენერატორი აგენტი დააგენერირებს თავისი არგუმენტების სიმრავლეს, აგენტები ცვლიან თვიანთ არგუმენტებს. როცა ყველა აგენტისთვის ცნობილი გახდება სხვა აგენტების არგუმენტები მაშინ ისინი აგენერირებენ შეტევათა სიმრავლეს.

შეტევა ჩნდება მაშინ, როცა ობიექტის შეთავსების მნიშვნელობა პატერნთან უკეთესია ვიდრე სხვისა და h -ის მნიშვნელობა კონფლიქტურია, მაგალითად არგუმენტ $(m_1(o, t_1), P, \text{certainty}, +)$ -ზე ხორციელდება შეტევა არგუმენტ $(m_2(o, t_2), P, \text{certainty}, -)$ - ის მიერ თუ m_1 და m_2 ერთიდაიმავე ობიექტის სხვადასხვა პატერნთან შეთავსებაა, ან $(m_2(o, t_1), R, \text{certainty}, -)$ -ს შემთხვევაში თუ გვაქვს ობიექტის ერთიდაიგივე პატერნთან შეთავსება.

როდესაც არგუმენტების და შეთავსების სიმრავლეები წარმოქმნილია, აგენტებმა უნდა გამოითვალონ უპირატესი გაფართოება, აუდენციის და კონფიდენციის მნიშვნელობიდან გამომდინარე. არგუმენტების სიმრავლე გლობალურად სუბიექტურად მისაღებია, თუ თითოეული ელემენტი ჩანს რომელიმე აგენტის სასურველ გაფართოების სიმრავლეში.

არგუმენტების სიმრავლე გლობალურად ობიექტურად მისაღებია, თუ თითოეული ელემენტი ჩანს ყველა აგენტის სასურველ გაფართოების სიმრავლეში. თუ არგუმენტი არის არც სუბიექტურად და არც ობიექტურად მისაღები მაშინ ის განიხილება როგორც უსაფუძვლო.

4. ჭიანჭველების ამოცანა და ფორმალური არგუმენტაციის მოდელი

თუ ვიტყვით, რომ ნებისმიერი ჭიანჭველა დამოუკიდებლად მოქმედებს და მათ სურვილი აქვთ კოლექტივში გაერთიანების, მათ „კამათი“ მოუწევთ უკვე არსებულ გუნდის წევრებთან. თუ გუნდი თავდაპირველად არის მხოლოდ ერთი ჭიანჭველისგან შემდგარი, პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ შემთხვევაში, არგუმენტაცია არ არის საჭირო რადგან აგენტი თავის თავს ვერ ეკამათება.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი, კოლექტივში შეიძლება გამოეყოს ერთი ჭიანჭველა, რომელიც შეიძლება მოვნიშნოთ როგორც პრიორიტეტული არგუმენტის მქონე, მის არგუმენტებს შეიძლება უფრო მეტი შეფასება ჰქონდეს და უფრო პრიორიტეტული იყოს, თუმცა ეს ვიდულობამაშის სპეციფიკაციიდან გამომდინარეობს, მოვიყვანოთ ფორმალური არგუმენტაციის მოდელი ჭიანჭველის ამოცანის მაგალითზე:

ყველა ჭიანჭველისთვის

ყოველი ახალი ჭიანჭველა, რომელსაც კოლექტივში სურს გაერთიანება

თვისებრივი არგუმენტების გენერაცია();

მიმართებითი არგუმენტების გენერაცია();

სტრუქტურული არგუმენტების გენერაცია();

ყველა ჭიანჭველისთვის

ყოველი ახალი ჭიანჭველა, რომელსაც კოლექტივში სურს გაერთიანება

თუ არსებობს მიმართება(ჭიანჭველა, პატერნი, არგუმენტი)

მაშინ ჩვენ გვაქვს დასტური.

თუ არა და არ გვაქვს დასტური.

ყველა დასტურისთვის

ყველა ჭიანჭველისთვის

თუ უდავობას შეუტია კოლონიის აგენტმა ჭიანჭველამ კონტრარგუმენტით

მაშინ უდავობა დადასტურებულია

თუ არა და

თუ უდავობას შეუტია კოლონიის აგენტმა ჭიანჭველამ და კონტრარგუმენტი არ არის

მაშინ უდავობა დაუდასტურებელია.

5. დასკვნა

ვიდეოთამაშებში ფართოდ არის გავრცელებული მრავალაგენტიანი სისტემები, აგენტთა გაერთიანებები, სადაც მნიშვნელოვანია ამ გაერთიანებათა საერთო გადაწყვეტილება, ხოლო საერთო გადაწყვეტილება ისეთი აგენტებისგან, რომლებიც ცალკე-ცალკე დამოუკიდებლად მოქმედებენ პირდაპირი გზით არ მიიღწევა, საჭიროა გარკვეული კამათი მათ შორის, რათა მიიღწეს კონსენსუსი და გამომავალი შედეგიც სასურველთან ახლოს იყოს, ამის მიღწევის ერთერთი ეფექტური მეთოდია არგუმენტაციის მექანიზმი, იგი დამოუკიდებელ აგენტთა მოქმედებებში ადგენს უპირატესს გამომავალ შედეგს პატერნების საშუალებით და საბოლოოდც ამტკიცებს მას.

ლიტერატურა:

1. Wang P. (2013). Non-Axiomatic Logic. A Model of Intelligent Reasoning. Copyright © 2013 by World Scientific Publishing Co. Pte. Ltd.
2. SmithR. (2012). Aristotle's logic. in *The Stanford Encyclopedia of Philosophy*, ed. Zalta, E. N. (Spring 2012 edn.).
3. MerrittD. (2004). Best Practices for Rule-Based Application. Development <http://msdn-microsoft.com/en-us/library/aa480020.aspx>

4. Archvadze G., Bosikashvili Z. (2015). Mathematic Model and Argumentation Theory with Multi Agent Based Architecture for Pattern Recognition. Transact. of Georgian Technical University. "ACS" No1(19), pp.187-196. [http://www.gtu.ge/Journals/mas/Referat/ASU-2015\(1_19\)/187_196.pdf](http://www.gtu.ge/Journals/mas/Referat/ASU-2015(1_19)/187_196.pdf)

USING OF ARGUMENTATION MECHANISM OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN VIDEO GAMES

Abelashvili Giorgi, Bosikasvili Zurab
Georgian Technical University

Summary

There are many problems in video games. Groups of agents have the main roles. They take a group and individual decisions. Group decisions are depended on individuals. Agents don't always think the same way, they wish to reach consensus, which will be their group's final decision. One of the known ways to reach consensus is the augmented mechanism. In this article, we will discuss argued mechanism as an example of Ants problem.

ИСПОЛЬЗОВАНИЕ МЕХАНИЗМА АРГУМЕНТАЦИИ ИСКУССТВЕННОГО ИНТЕЛЛЕКТА В ВИДЕО ИГРАХ

Абелашвили Г., Босикашвили З.

Грузинский Технический Университет

Резюме

В видео играх существуют много задач, в которых главным действующим субъектом являются объединение, группы агентов. Коллективные решения зависят от индивидуальных, от т.н. механизма аргументации. Агенты в группе не всегда рассуждают и действуют одинаково. Их задачей является достижение консенсуса, который является окончательным решением данной группы. Одним из методов достижения агентами группы единного решения, консенсуса является известный механизм аргументации. В статье рассматривается механизм аргументации для конкретного примера-задачи про муравьев.

აგრო-ბიო ტექნოლოგიური კომპლექსების ინტელექტუალური მართვის სისტემის სტრუქტურის აპრიორული ფორმალიზაცია

თემურ კაპანაძე, ნინო ჭალიძე, ნინო ლომიძე,

ლევან ლურბელიძევილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლოეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერებასა და ტექნიკაში ინტელექტუალური მართვის სისტემის გამოყენება, რომლებიც დაფუძნებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესთან კომფლიქტური სიტუაციის დროს. ნაშრომში განხილულია გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემის სტრუქტურა, როგორც ინტელექტუალური მართვის სისტემის მთავარი ბირთვი. აპრიორულად შემოთავაზებულია აგრო-ბიო ტექნოლოგიების ტექნოლოგიური კომპლექსების მართვის ინტელექტუალურ სისტემაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მოდულის ჩართვა, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეამცირებს სისტემის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს და გაზრდის ოპტიმალურობის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ტექნოლოგიები. ინტელექტუალური სისტემები. მხარდაჭერი სისტემა. ტექნოლოგიური, აგრო-ბიო ტექნოლოგიები.

1. შესავალი

გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებით შექმნილმა უარყოფითმა ფაქტორებმა საგრძნობლად გაართულა სასურველი პარამეტრების მქონე ბიოპროდუქტის წარმოება. აღნიშნულმა ფაქტორებმა ბუნებრივად დააყენა ბიოტექნოლოგიურ პროცესებზე სწრაფად რეაგირების და რეგულირების ამოცანა (მართვა), ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის წარმოების ჭრილში.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბიოპროდუქტის წარმოება, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები ვარირებს წინასწარდადგენილ ტექნოლოგიურ ზღვრებში.

თანამედროვე ბიოტექნოლოგია, მიზანფუნქციების მიხედვით, დაყოფილია რიგ მიმართულებებად, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს კვების ტექნოლოგია. ექსპერტ-სპეციალისტთა შეფასებით, კვების პროდუქტთა წარმოების 80%-ზე მეტი დაკავშირებულია ისეთ მიკრობიოლოგიურ პროცესებთან, რომელთა საფუძველს წარმოადგენს ფერმენტაცია (დუღილი), ხოლო შესაბამის ტექნოლოგიურ სისტემას – სამადულრე წარმოება.

ნაშრომში განხილულია ისეთი ტექნოლოგიური კომპლექსების კომპიუტერული მართვის საკითხები მეთოდების დამუშავება, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნივთიერებათა კონცენტრაცია, მოლეკულათა დიფუზია და ა.შ. ასეთი შინაარსის დატვირთვის მქონე ბიოტექნოლოგია სამადულრე წარმოება, სამკურნალო-ვიტამინებიანი მშრალი და ზეთოვანი კონცენტრატების წარმოება და სხვა. განხილულია აგრეთვე მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებისგან ღვინის წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის კომპიუტერული მართვის სისტემის დაპროექტების საკითხები, რომელიც წარმოადგენს სამადულრე წარმოების კლასიკურ მაგალითს.

2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, მწარმოებლისგან ითხოვს საერთაშორისო სტანდარტების მქონე მაღალხარისხიან და დაბალი თვითღირებულების მქონე პროდუქციას. ბუნებრივია ეს მოთხოვნა

ვრცელდება ღვინის მწარმოებელ საწარმოებზეც. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფეხურს წარმოადგენს ღვინის წარმოებებში მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა.

ღვინის დაყენება, რთული, მრავალსტადიური, ბიოტექნოლოგიური პროცესია, რომელშიც მონაწილეობს დიდი რაოდენობის ტექნოლოგიური მოწყობილობები და რომელთა ოპტიმალურ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული საბოლოო პროდუქტის ხარისხი და თვითღირებულება. გარდა ამისა ღვინის ხარისხს მაღალი ალბათობით განაპირობებს ნედლეულის პარამეტრების მნიშვნელობები. აღნიშნული პარამეტრების რაოდენობრივი მაჩვენებლები ცვლადი სიდიდეებია და დამოკიდებულია არამარტო მისი დამზადების დროზე, არამედ იმ ადგილმდებარეობის ეკოგარემოზეც, სადაც მისი დამზადება განხორციელდა.

თუ ამას დავუმატებთ გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებით შექმნილ უარყოფით ფაქტორებს, რამაც საგრძნობლად გაართულა სასურველი პარამეტრების მქონე ბიოპროდუქტის წარმოება, ცხადი ხდება ღვინის წარმოებებში თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენების აუცილებლობა, ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის წარმოების ჭრილში (აქვე აღვნიშნავთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბიოპროდუქტის წარმოება, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები იცვლებიან წინასწარ დადგენილ ტექნოლოგიურ ზღვრებში და მაქსიმალურად არიან მიახლოებულნი იდეალურ მნიშვნელობებთან).

დროის რეალურ რეჟიმში მომუშავე თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემები, ტიპიურ მართვის პროცესებს ასრულებენ ავტომატურად, ოპერატიული პერსონალის ჩარევის გარეშე. ოპერატიული პერსონალი ახორციელებს ტექნოლოგიური კომპლექსის ფუნქციონირების მართვის კონტროლს და აქტიურად ერთვება მართვის პროცესებში ე.წ კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში.

კონფლიქტური სიტუაციის ქვეშ იგულისხმება მართვის ობიექტის ისეთი მდგომარეობა, როცა მასში მიმდინარე პროცესის წარმართვა შეუძლებელი ხდება ოპერატიული ჯგუფის ჩარევის გარეშე. ოპერატიული ჯგუფის მოქმედების „ყოფაქცევა“ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიმღები პირი (გმპ), რომელიც სიტუაციის მიხედვით, დროის მოცემულ მომენტში, გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, ირჩევს ეფექტურ გადაწყვეტილებას.


აღნიშნულის გათვალისწინებით, ოპერატიული მართვის ავტომატიზებული სისტემის ძირითადი დატვირთვა იქნება იმ რეკომენდაციების ტექნოლოგიისთვის მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალურ რეჟიმში წარმართვას და ამ გზით მაღალხარისხიანი და იაფი პროდუქტის ფორმირებას.

პირობითად, ღვინის დაყენების ოპერატიული მართვის ავტომატიზებული სისტემა წარმოადგენილი იქნება სამ დონიანი მართვის სტრუქტურით (იხილეთ ნახ.1):

ზედა დონეს წარმოადგენს მართვის ცენტრალური კომპიუტერული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია მთელი ტექნოლოგიური პროცესის მართვაზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირთან ერთად. აქ თავს იყრის ყველა სახის ინფორმაცია ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შესახებ და აქვე ხდება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება კონფლიქტური სიტუაციების დროს.

შუა დონეს წარმოადგენს ე.წ. ანალოგურ-ციფრული და პირიქით ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი მოდულები. ამ მოდულების საშუალებით კომპიუტერულ ცენტრს მიეწოდება ყველა სახის ციფრული ინფორმაცია, ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შესახებ და ხდება

კომპიუტერის მიერ გაცემული ბრძანებების ფორმირება ანალოგურ (ფიზიკურ) სიგნალად, ამპრავისათვის (შემსრულებელი მექანიზმი) ავტომატურ რეჟიმში პროცესის რეგულირების დროს.



ნახ.1

ქვედა დონეს წარმოადგენს ყველა სახის გადაწყობი (შესაბამისად შემსრულებელი მექანიზმები), რომელიც ფიზიკურ სიდიდეებში ზომავს ოპტიმალური მართვის პროცესის წარმართვისათვის ყველა საჭირო პარამეტრს და მიაწვდის კომპიუტერულ მართვის ცენტრს, ანალოგურ-ციფრული მოდულების მეშვეობით.


ოპერატიული მართვის ავტომატიზებული სისტემა ითვალისწინებს რა მთლიანი ტექნოლოგიური ციკლის თავისებურებებს, უზრუნველყოფს:

- დვინის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ყველა სტადიაზე, ყველა მოცემული პარამეტრის სტაბილიზაციას დასაშვები დიაპაზონის ფარგლებში;
- კომფლიქტური სიტუაციების დროს, დიალოგურ რეჟიმში („გმპ-კომპიუტერი“) ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ტექნოლოგიური პარამეტრების რეგულირებას (დისპეტჩერიზაციას), როგორც ავტომატურ, ასევე ავტომატიზებულ (სპეციალისტთა მონაწილეობით) რეჟიმში;
- ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარე პარამეტრების მნიშვნელობების ინფორმაციის ასახვას, დროს ნებისმიერ მომენტში, კომპიუტერის მონიტორზე (ან მხეშო სქემაზე);
- პარამეტრების ცვლილებების და მიღებული გადაწყვეტილებების არქივიზაციას, მოსალოდნელი კომფლიქტური სიტუაციების დროს ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად;
- მართვის საშუალებების დამატებითი ფუნქციებით აღჭურვას, ტექნოლოგიური პროცესების შეცვლის ან მოდერნიზაციის დროს.

თანამედროვე გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემები (გმმს), რომლებიც ფუნქციონირებენ რა დროის რეალურ მასშტაბში, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ ინტელექტუალური მართვის ავტომატიზებულ სისტემებს და დიალოგურ რეჟიმში ეხმარებიან გადაწყვეტილების მიღება პირს (გმპ), ამა თუ იმ პრობლემების შესახებ, ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში.

ინტელექტუალური მართვის ინფორმაციული სისტემების ქვეშ იგულისხმება ისეთი ავტომატიზებული სისტემები, რომლის საფუძველს წარმოადგენს ინტელექტუალური მართვის ის მეთოდოლოგია, რომელიც აგებულია ცოდნის ბაზის კომპლექსურ გამოყენებაზე.

ზემოხსენებული სისტემების ოპერატიული მართვის ხარისხი ამაღლების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია „გმმ ის“ კლასიკურ სტრუქტურაში ჩავართოთ ეფექტური გადაწყვეტილების (და არა გადაწყვეტილებების) მიღების მოდული, რომლის დროსაც „გმმ ის“-ის განზოგადებულ სტრუქტურას ექნება შემდეგი სახე (ნახ.2).




ნახ.2

ვფიქრობთ, მოდერნიზებული სისტემის მიზნობრივი დატვირთვა უნდა იყოს არა რეკომენდაციების სასრული სიმრავლის შეთავაზება „გმმ“-თვის, არამედ ერთი ე.წ. სუბოპტიმალური (ეფექტური) გადაწყვეტილების მიწოდება და სისტემასთან დიალოგში მისი სასურველ შედეგამდე დაყვანა. აღნიშნული მიდგომა საშუალებას მისცემს „გმმ“-ს გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინოს ის მიმდინარე გარე ზემოქმედებებიც, რომლებიც შეუძლებელია ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიწოდების შემთხვევაში.

აგრო-ბიო ტექნოდინამიკურ კომპლექსებს, რომლებიც საწყის ეტაპზე გადაამუშავენ თითქმის ერთნაირ ბიონელეულს, მცენარეულს, და რომლებიც დროში ფუნქციონირებენ თითქმის უწყვეტად, გააჩნიათ ცვალებადი ხასიათი და ძალზე მაღალი ალბათობით დამოკიდებულნი არიან გარემო

ფაქტორებზე. თუ ბიოპროცესებს განვიხილავთ ფიზიკური და ქიმიური მოვლენების ჭრილში, დავეყრდნობით ბიოფიზიკის და ბიოქიმიის დასკვნებს ვნახავთ, რომ მათ ელემენტებს გააჩნიათ დისკრეტულ მდგომარეობათა სასრული სიმრავლე, სტრუქტურათა მდგრადობის გარკვეული რაოდენობები. გარდა ამისა თუ გავითვალისწინებთ აგრო-ბიო პროცესების ციკლურ ხასიათს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი განეკუთნებიან შერეული ხასიათის ტექნოლოგიურ პროცედურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აგრო-ბიო ტექნოლოგიური კომპლექსის ინტელექტუალური მართვის სისტემის ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მოდული განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი მართვის ობიექტი და მისი სტრუქტურა წარმოვადგინოთ განზოგადოებული სქემის სახით (ნახ.3).



ნახ.3

სადაც:

- $\vec{Y} \{Y_1(t, \vec{x}), Y_2(t, \vec{x}), \dots, Y_m(t, \vec{x})\}$ - არის გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემის მიერ გამოთქმული ალტერნატიულ რეკომენდაციათა (გადაწყვეტილებათა) ვექტორი;
- $\vec{X} \{x_1, x_2, \dots, x_k\}$ - არის სამართავი აგრო-ბიო ტექნოლოგიური კომპლექსის მანათიანობის (შემაკალი) პარამეტრები;
- $\vec{Z} \{z_1, z_2, \dots, z_k\}$ - არის გარემოფაქტორის ის პარამეტრები დროის t რეალურ მომენტში, რომლის გათვალისწინება შეუძლებელია ტექნოლოგიური კომპლექსის მართვის სისტემის ძირითად მოდელში;
- $\vec{U} \{U_1(\vec{y}, \vec{z}), U_2(\vec{y}, \vec{z}), \dots, U_m(\vec{y}, \vec{z})\}$ - არის ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პარამეტრების ვექტორი, რომელიც წარმოადგენს Y_i ალტერნატივის Φ კანონზომიერებით U_i გადაწყვეტილებაში გარდასახვის კანონს, დროის t რეალურ მომენტში, Z ფაქტორების გათვალისწინებით.

ზოგადად,
$$\vec{U} = \Phi(\vec{y}, \vec{z})$$

ამ გამოსახულებაში $\Phi(\phi_1, \phi_2, \dots, \phi_k)$ წარმოადგენს \vec{Y} -ის \vec{U} -ში გარდასახვის მისაღწევად მიზანდასახულ ქმედებათა წესების ვექტორს (ზოგადად Φ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების კანონზომიერება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე Φ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების ამოცანა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

\vec{Y} ალტერნატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე განვსაზღვროთ \vec{U} გარდასახვის ისეთი მნიშვნელობები, რომლის დროსაც ეფექტური ალტერნატივა (F):

$$F = \bigcup_{i=1}^m \alpha_i u_i ; \quad \alpha_i \geq 0 ; \quad \sum_{i=1}^m \alpha_i = 1 ;$$

იქნება საუკეთესო t რეალური დროის მოცემული მომენტისათვის.

დღეისათვის მეცნიერული კვლევები, ინფორმაციული სისტემების აგების ჭრილში, მიმართულია დიდი და რთული ტექნიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, აგრეთვე პოლიტიკური თუ სოციოლოგიური სისტემების ფორმირების პრობლემების დამუშავებაზე, მათ რეალიზაციაზე დროის რეალურ რეჟიმში. ექსპერტ-მეცნიერთა აზრით, ამა თუ იმ დარგის სფეროში დაგროვილი ცოდნის პოტენციალის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში 60-70% -ით გაზრდის მართვის ეფექტურობის ხარისხს.

იტალიელი მეცნიერის პარეტოს მიხედვით, არსებული ცოდნის ბაზა შეიძლება მივიჩნიოთ დიდი განზომილების მქონე ალტერნატიული ამონახსნების სიმრავლედ, ხოლო თითოეული მიღებული გადაწყვეტილება ალტერნატიულ გადაწყვეტილებად. „გმ ის“-ის მიერ გადაწყვეტილების მიძღები პირისთვის რეკომენდაციების მიწოდება წარმოადგენს ამ სიმრავლიდან შესაძლო ოპტიმალური გადაწყვეტილების ამორჩევის შედეგს. შემოგანხილული მოდერნიზებული გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ევრისტული სისტემის მიზანია პარეტოს სამრავლიდან ეფექტური გადაწყვეტილების მიღების (ამორჩევის) იტერაციული პროცედურების რაოდენობრივი შემცირება, რაც თავისთავად აისახება გადაწყვეტილების მიღების დროზე.

3. დასკვნა

როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების გამოკვლევებით, საქართველო ითვლება მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში. ღვინის წარმოების მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ, ჩამოაყალიბა და დანერგა ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიები. ამ ტექნოლოგიებით დამზადებული ქართული მაღალხარისხიანი ღვინოების უდიდესი უმრავლესობა წარმატებით იყიდებოდა საზღვარგარეთის ბაზარზე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეამცირა დარგის სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი. გარდა ამისა გარემოს უარყოფითმა ეკოლოგიურმა ფაქტორებმა საგრძნობლად დააქვეითა ქართული ღვინოების ხარისხობრივი მაჩვენებლები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მისი საექსპორტო პოტენციალი. ვფიქრობთ, ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებში თანამედროვე მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, საგრძნობლად ამაღლებს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და კონკურენტუნარიანს გახდის, მეღვინეობის დარგში, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან მიმართებაში.

ლიტერატურა:

1. კაპანაძე თ., ცინცაძე ა., გაბელავა ო. (2008). ბიოტექნოლოგიური სისტემების მოდელირების ზოგიერთი პრობლემების აპრიორული ფორმალიზაცია. სტუ-ს შრ.კრ. „მას“, №8. გვ. 110-113
2. Волова Т.Г. (1999). Биотехнология. Новосибирск. Россия
3. Биохимические процессы и использование ферментов в пищевых технологиях. <http://lsnau.ru/bioximicheskie-processy-i-ispolzovanie-fermentov-v-pishhevyx-texnologiyax/>

4. Великая Е.И. Суходол В.Ф. (1983). Лабораторный практикум по курсу общей технологии бродильных производств. –М. Легкая и пищевая промышленность.

5. ცინცაძე ა. კაპანაძე თ. გაბელავა ო. (2010). ბიოტექნოლოგიური სისტემების მოდელირების ზოგიერთი პრობლემის აპრიორული ფორმალიზაცია. Transactions. Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS - № 1(8). pp. 110-114.

6. კვესიტაძე გ., კვესიტაძე ე. (1999). ბიოტექნოლოგია. თბილისი, შპს „ეტრატი“. <http://konf-apobr.ru/index.php/sektion3/217-akchvo>

7. Воробьев В.В. (<http://konf-apobr.ru/index.php/sektion3/217-akchvo.html>). Актуальные проблемы моделирования системы формирования и управления качеством продукции. ГОУ ВПО «МГУТУ», Москва, Россия

GENERALIZED STRUCTURE OF INTELLIGENT CONTROL SYSTEM OF AGRO-BIO TECHNO-DYNAMIC COMPLEXES

Temur Kapanadze, Nino Chalidze , Nino Lomidze, Levan Gurbeleishvili
Georgian technical university

Summary

The paper discusses methods for developing decision support systems, based on knowledge for use in supernumerary, non-standard, emergency situations. For many non-standard tasks require unconventional methods, using both formal methods to solve problems as (math) well as non formalized methods of solution (artificial intelligence methods). And also consider the structure of decision support system, as the main core of intellectual system-control. By us is suggested the inclusion of a module for adoption effective decisions in intelligent control system of Agro-Bio Techno-Dynamic complex, which, according to the authors, will significantly reduce the decision time and increase the degree of optimality.

АПРИОРНАЯ СТРУКТУРА ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ АГРО-БИО ТЕХНОДИНАМИЧЕСКИМИ КОМПЛЕКСАМИ

Капанაძე ტ., Чалидзе Н., Ломидзе Н., Гурбелеишвили Л.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены методы разработки систем принятия решений, основанных на знаниях для использования в нестандартных, нестандартных, чрезвычайных ситуациях. для решения многих нестандартных задач требуются нетрадиционные методы, использующие как формализованные методы решения задач (математические), так и неформализованные методы решения (методы искусственного интеллекта). А так же рассмотрена структура системы поддержки принятия решения, как основное ядро интеллектуальной системы управления. Априорно предложено включение модуля принятия эффективных решений в интеллектуальную систему управления агробио технодинамическим комплексом, который, по мнению авторов, значительно уменьшит время принятия решения и увеличит степень оптимальности.

**ქართული ღვინის წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის
მართვის ავტომატიზებული სისტემის განვითარებული
მოდელის პარამეტრების განსაზღვრა**

თემურ კაპანაძე, ნინო ლომიძე, ნინო ჭალიძე, ლევან ლურბელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტექნოლოგიების ამოცანას წარმოადგენს, დასამუშავებელი რესურსის ერთი სახიდან მეორეში გარდაქმნის პროცესების დროს არსებული სხვადასხვა კანონზომიერებების გამოვლენა და დადგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით ტექნოლოგიური პროცესები წარმოადგენს რთულ სისტემებს. როგორც ცნობილია, რთული სისტემების მოდელირება დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან, როგორცაა მრავალდონიანი იერარქიული სტრუქტურა, სარეალიზაციო მოდელთა პარამეტრების დიდი განზომილება და სხვა. ნაშრომში, ტექნოლოგიის თეორიაზე დაყრდნობით, განხილულია დეკომპოზიციის პრინციპი, რაც მდგომარეობს შემდეგში: ხდება რთული სისტემის ქვესისტემებად ხელგნული გაყოფა - ცალკეული ქვესისტემების ავტონომიის შენარჩუნებით, ამ ავტონომიური ქვესისტემების (ელემენტების) მოდელირება და მათ შორის კავშირის დამყარება. განხილულია ზემო აღნიშნული კავშირების პარამეტრების პოვნის მეთოდოლოგია, იდენტიფიკაციის და სისტემების მოდელირების თეორიაზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: მოდელირება. იდენტიფიკაცია. ტექნოლოგია. ქვესისტემა. იერარქიული სტრუქტურა.

1. შესავალი

საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, სოფლის მეურნეობა ყოველთვის იყო ქვეყნის ეკონომიკის ტრადიციული და მნიშვნელოვანი სექტორი. სწორედ აქ არის შემონახული ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს და განვითარდეს. აღნიშნულის განხორციელების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს თანამედროვე აგრო, ბიო, ნანო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ათვისება-გამოყენება, რაც სოფლად სიღარიბის დაძლევის უპირობო გარანტიადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ზოგადად თანამედროვე აგრო-ბიო ტექნოლოგიები, მიზანფუნქციების მიხედვით დაყოფილია რიგ მიმართულებებად, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს კვების ტექნოლოგია. ექსპერტ-ტექნოლოგების შეფასებით კვების პროდუქტთა წარმოების 80%-ზე მეტი დაკავშირებულია ისეთ მიკრობიოლოგიურ პროცესებთან, რომელთა საფუძველს წარმოადგენს ფერმენტაცია (დუღილი), ნივთიერებათა კონცენტრაცია და მოლეკულათა დიფუზია. ასეთი შინაარსის დატვირთვის მქონე ტექნოლოგიებია სამადულრე წარმოება, სამკურნალო ვიტამინებიანი მშრალი და ზეთოვანი კონცენტრატების წარმოება, მცენარეულ ნედლეულთა შეზავებით (ნაზავი-„კუპაჟი“) მიღებული ბიოპროდუქტები და სხვა.

კვების ბიოტექნოლოგიების ტექნოლოგიური კომპლექსები (აგრონედლეულის გადამამუშავებელი წარმოებები), რომელთა საფუძველია ზემოაღნიშნული მიკრობიოლოგიური პროცესები, მიუხედავად იმისა თუ რა სახის და რა დანიშნულების საბოლოო პროდუქტს აწარმოებს ისინი, გადაამუშავებს თითქმის ერთსა და იმავე ნედლეულს, მცენარეულს. შესაბამისად სხვადასხვა სახის საბოლოო პროდუქტის ფორმირება, მათი წარმოების საწყის სტადიაზე ეფუძნება ზემოხსენებულ ბიოქიმიურ პროცესებს, რომლის ტექნოლოგიური კონტროლი და მართვა ხორციელდება ერთი და იგივე პარამეტრებით.

ზემოაღნიშნული პარამეტრების და მაჩვენებლების ცვლილების სიჩქარის ზრდამ, მათმა სტოქასტიკურმა (შემთხვევითმა) ხასიათმა ბუნებრივად დააყენა არა მარტო ბიოტექნოლოგიურ პროცესებზე სწრაფად რეაგირების და რეგულირების ამოცანა (ზოგადად პროცესების კომპიუტერული მართვის ამოცანა), არამედ მოვლენების ცენტრში მოექცა მოდერნიზებული ბიოტექნოლოგიური რეჟიმების ოპტიმალური მართვის ფორმირების საკითხებიც, ავტომატიზებულ რეჟიმში - ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის წარმოების ჭრილში.

შემოთავაზებულ ნაშრომში განხილულია მაღალ ხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებისგან ღვინის წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის ავტომატიზებული მართვის სისტემის დაპროექტების საკითხები, რომელიც წარმოადგენს სამაღურე წარმოების კლასიკურ მაგალითს.

2. ძირითადი ნაწილი


თანამედროვე აგრო-ბიო ტექნოლოგიური კომპლექსები წარმოადგენს ტექნიკური საშუალებებისა და ადამიანთა სიმრავლის კანონზომიერ გაერთიანებას, ამა თუ იმ ბიოპროცესის ტექნოლოგიური სქემით, რომლებიც ასრულებენ გარკვეულ ოპერაციათა მიმდევრობას, კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

ღვინის წარმოება, როელი, მრავალსტადიური, ბიოტექნოლოგიური პროცესია, რომელშიც მონაწილეობს დიდი რაოდენობის ტექნოლოგიური მოწყობილობები და რომელთა ოპტიმალურ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული საბოლოო პროდუქტის ხარისხი და თვითღირებულება.

ტექნოლოგიური პროცესების ოპერატიულ მართვას უშუალოდ ახორციელებენ ტექნოლოგები. მათ მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია ნედლეულის, შუალედური პროდუქტის და მზა პროდუქციის შესახებ. ისინი აგებენ პასუხს პროდუქციის ხარისხზე და თვითღირებულებაზე. ტექნოლოგები გასცემენ დირექტივებს ტექნოლოგიური პროცესის სტაბილიზაციის ან რეგულირების შესახებ, რომლებსაც ასრულებენ მეაპარატები (ოსტატები).

შემოთავაზებულ ნაშრომში განხილულია ისეთი ავტომატიზირებული მართვის სისტემის დაპროექტების საკითხები, რომლის ძირითადი დატვირთვა იქნება იმ რეკომენდაციების ტექნოლოგებისთვის მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფს ბიოტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალურ რეჟიმში წარმართვას და ამ გზით მაღალხარისხიანი და იაფი პროდუქტის მიღებას.

წარმოვიდგინოთ ღვინის დადულების ბიოსისტემა აბსტრაქტულად და გამოვსახოთ განზოგადებული ბლოკ-სქემის სახით (ნახ.1).



ნახ.1

სადაც $x_1(t), x_2(t), \dots, x_n(t)$ – სისტემის შემავალი პარამეტრებია, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მისაღები ბიოპროდუქტის ნედლეულის მახასიათებლები.

$Y(y_1(t), y_2(t), \dots, y_m(t))$ – სისტემის მიზანი, ბიოტექნოლოგიურ ჭრილში ბიოპროცესის რეზულტატი (ბიოპროდუქტი), ჩაწერილი ფორმალიზებული სახით


$F(f_1, f_2, \dots, f_k)$ – სისტემის რეზულტატის მისაღწევად მიზანდასახულ ქმედებათა წესების მატრიცა (ზოგადად, ბიოტექნოლოგიური პროცესი).

ტექნოლოგიის თეორიიდან ცნობილია ე.წ ტექნოლოგიის დეკომპოზიციის (დიფერენცირების) პრინციპი, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ტექნოლოგიური სისტემის ფუნქციონირების ტექნოლოგიური ხაზი, ხელოვნურად დაიყოს სასარული რაოდენობის ტექნოლოგიურ რგოლებად (ნაწილებად), რომელთაგანაც თითოეულს ექნება გარკვეული ავტონომია ანუ განიხილება რომელიმე ე.წ შუალედური პროდუქტის ქვეტექნოლოგია, შესაბამისი შემავალი-საწყისი პარამეტრები და რეზულტატი-გამომავალი პარამეტრები. ამგვარად მოვიღებთ r სასურველი რაოდენობის სამართავი ობიექტების კანონზომიერ კავშირს, სადაც $r=1$ ობიექტის რეზულტატი - გამომავალი სიდიდეები, იქნება $r=2$ ობიექტის შემავალი პარამეტრები და ა.შ. ხელოვნურად მიღებულ

ავტონომიურ ქვეტექნოლოგიების, როგორც დამოუკიდებელ ტექნოლოგიური სისტემისათვის ვაგებთ მართვის მოდელს და ამ მოდელების მკაცრი კანონზომიერი გაერთიანება მოგვცემს მთლიან ტექნოლოგიური კომპლექსის ავტომატიზირებულ მართვის მოდელს.

მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული დეკომპოზიცია (დეტალიზაცია) გარკვეულწილად გაზრდის მართვის ამოცანების რაოდენობას, საგრძნობლად ამარტივებს სისტემის მოდელირების პროცედურას და რაც ყველაზე მთავარია საგრძნობლად აამაღლებს სრული ტექნოლოგიური ციკლის ავტომატიზირებული მართვის სისტემის მოდელის ადეკვატურობის ხარისხს რეალურ ობიექტთან მიმართებაში.

მართვის ობიექტის დეკომპოზიციის განზოგადებული სქემა მოცემულია მე-2 ნახაზზე.



ნახ.2

როგორც წესი, ბიოტექნოლოგიური პროცესის რეზულტატი, ბიოპროდუქტი ხასიათდება ხარისხობრივი მაჩვენებლების სიმრავლის დიდი განზომილებით, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავენ მის თვისებას. ამ მაჩვენებლების ერთი ნაწილი გარკვეულ ზღვრებშია მოქცეული. მეორე, შემოსაზღვრულია ქვემოდან და რაც მეტია მისი მნიშვნელობები მით ხარისხიანია პროდუქტი. მესამე კი პირიქით, შემოსაზღვრულია ზემოდან და მიზანშეწონილია მათი მინიმალური რაოდენობა პროდუქტის შედგენილობაში. გარდა ამისა ბიოპროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებლების სიმრავლის თითოეული ელემენტი (კომპონენტი), რთული ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია შემავალ პარამეტრებთან, რომელთაც პირობითად ვუწოდოთ რეჟიმული პარამეტრები და რომლებზედაც დიდად არის დამოკიდებული ბიოტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალური მართვა.

თუ ცნობილია (ან რაიმე წესით განისაზღვრება) ბიოსისტემის შემავალ და გამომავალ პარამეტრებს შორის, ფუნქციონალური დამოკიდებულებათა ფორმალური აღწერა ანუ ბიოტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის აზრობრივი არსი გაწერილია რაიმე ფორმით შეიძლება ითქვას, რომ აგებულია ბიოსისტემის ფუნქციონირების მოდელი.

სისტემის მიდგომის ჭრილში, ბიოტექნოლოგიური სისტემის განზოგადებული (r) სტადიაზე მოდელი შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი ფორმულირებით:

$$Y^{(r)} = F^{(r)}(X^{(r)}, U^{(r)}, \Psi^{(r)}) \quad (1)$$

სადაც, $r = (\overline{1, R})$ - ბიოტექნოლოგიური რეჟიმის ინდექსია:

$$Y^{(t)} = \{y_j^{(t)}\} \quad J = (\overline{1, m}) \quad (2)$$

პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების სიმრავლეა და აკმაყოფილებენ პირობებს:

$$\alpha_{J1} \leq Y_{J1}^{(r)} \leq \beta_{J1} \quad J1 = (\overline{1, k}) \quad k, m \quad (3)$$

$$\begin{cases} Y_{J2}^{(r)} \geq \alpha_{J2} \\ Y_{J2}^{(r)} \rightarrow \max \end{cases} \quad J2 = (k+1, d) \quad d < m \quad (4)$$

$$\begin{cases} Y_{J3}^{(r)} \leq \beta_{J3} \\ Y_{J3}^{(r)} \rightarrow \min \end{cases} \quad J3 = (d+1, m) \quad (5)$$

$X^r = \{x_i^{(r)}\} \quad i = (\overline{1, n})$ - პროდუქციის ნედლეულის კომპონენტების და ხარისხობრივი მაჩვენებლების სიმრავლე;

$U^{(r)}$ - (r) ბიოტექნოლოგიური პროცესის რეჟიმული პარამეტრები და

$$U^{(r)} = \{U_p^{(r)}\} \quad P = (\overline{1, L})$$

$\Psi^r = \{\xi_q^{(r)}\} \quad q = (\overline{1, Q})$ გარემოფაქტორული ზემოქმედების პარამეტრების სიმრავლე;

$F^{(r)} = \{f_j^{(r)}\} \quad (J = \overline{1, m})$ - (r) ბიოსისტემის რეზულტატის (ბიოპროდუქტის) მისაღწევად მიზანდასახულ ქმედებათა წესების მატრიცა.

ზემოგანხილულიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვყალიბდეთ შემდეგნაირად: თუ მოცემულია:

1. დასამზადებელი r აპრიორული ბიოპროდუქტის $\{Y_i^{(r)}\}$ ხარისხობრივი მაჩვენებლები (ბიოპროდუქტის შედგენილობა) სასრული სიმრავლის სახით და შესაბამისი ზღვრული მნიშვნელობებით;

2. ცნობილია ან რაიმე წესით განისაზღვრა $i = (\overline{1, n_r})$ ნედლეულთა სასრული სიმრავლე, რომლისგანაც შესაძლებელია r ბიოპროდუქტის ფორმირება, მაშინ (1) - (5) მოდელით განსაზღვრული, $X^{(r)}$ და $U^{(r)}$ რეჟიმულ პარამეტრების მნიშვნელობებით შედგენილი, $\{f_r\}$ მიზანდასახულ ქმედებათა წესების მატრიცა უზრუნველყოფს r - ბიოპროდუქტის წარმოებას, მოთხოვნილი პარამეტრებით.

ოპტიმიზაციის თეორიის თვალსაზრისით, ზემოგანხილული სისტემის მოდელი მიეკუთვნება განაწილების ამოცანათა კლასს. ბიოფიზიკის, ბიოქიმიის და ბიოკიბერნეტიკის ძირითად დასკვნებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უმეტესწილად ბიოსისტემები განაწილებადია. საკითხი ეხება ისეთ ბიოტექნოლოგიურ პროცესებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნივთიერებათა კონცენტრაცია, ნივთიერებების მოლეკულათა დიფუზია და სხვა.

ისეთ წარმოებებში, რომლებშიდაც ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის დისპერსიზაციის (რეგულირების) დრო- $t_{\text{დ}}$ აკმაყოფილებს პირობებს

$$1(\text{სთ}) \leq t_{\text{დ}} \leq 8(\text{სთ})$$

გარდა ამისა, თვით ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, საკვებით მისაღება ისეთი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე მართვის მოდელები, რომლებიც ან წრფივია ან ექვემდებარება გაწრფივებას.

რადგან აგრო, ბიო წარმოებათა უდიდესი უმრავლესობა და მათ შორის ღვინის წარმოების ტექნოლოგიაც აკმაყოფილებს ზემოგანხილულ პირობას, სისტემის ავტომატიზებული მართვის ზემოგანხილული განზოგადოებული მოდელი შეიძლება ვეძებოთ წრფივი ფორმით:

$$y_k^r = \sum_{i=1}^n h_i X_i$$

სადაც X_i - მოდელისა და ობიექტის შესავალი სიდიდეა, h_i - მოდელის საძებნი (ჭეშმარიტი) პარამეტრები, y_i - მოდელის გამომავალი სიდიდე.

მოდელის წრფივობისა და ზემოლწერილი მიზნის ფუნქციონალის გათვალისწინებით პარამეტრიზაციის ადაპტური ალგორითმი ასეთ სახეს მიიღებს.

ვაფასებთ საძებნ h_i პარამეტრს a_i სიდიდით, რომელიც შემდეგი იტერაციული ალგორითმით განისაზღვრება:

$$a_{i,N+1} = a_{i,N} + \gamma \frac{y_{N+1} - \sum_{i=1}^n a_{i,N} x_{i,N+1}}{\sum_{i=1}^n x_{i,N+1}^2} X_{i,N+1}$$

აქ $a_{i,N+1}$ ადაპტური მოდელის ახალი (მიმდინარე) მნიშვნელობაა პარამეტრების (N+1) იტერაციულ ბიჯზე; y_{N+1} - ობიექტის მიმდინარე გამოსავალია; $X_{i,N+1}$ - მოდელის შესავალი ზემოქმედება; n - შესავალი ზემოქმედებათა რაოდენობა; γ - წონითი პარამეტრია.

ალგორითმის ფუნქციონირების სპეციფიკის განსაზღვრა წონითი კოეფიციენტი δ , რომელიც ზოგადად წარმოადგენს იტერაციული ბიჯების ფუნქციას და $Y_n=f(N)$ ჩვენი ტექნოლოგიისთვის $Y_n = \frac{1}{N}$.

მოდელირების პროცესის უმნიშვნელოვანესი ეტაპია იზომორფიზმის (ადეკვატურობის) ხარისხის შეფასება ობიექტსა და მოდელს შორის. მოდელირების თეორიაში არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომლითაც ხდება ადეკვატურობის ხარისხის შეფასება. ჩვენ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ ეგრეთწოდებული კორელაციის დამოკიდებულება, რომელიც ხასიათდება გარკვეულწილად უნივერსალიზმით და ჩაწერის ფორმის სიმარტივეთ. ადეკვატურობის ხარისხის კორელაციური დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$\eta = \left| 1 - \frac{\frac{\sum_{i=1}^N \Delta_i^2}{N} - \left(\frac{\sum_{i=1}^N \Delta_i}{N} \right)^2}{\frac{\sum_{i=1}^n y_i^2}{N} - \left(\frac{\sum_{i=1}^n y_i}{N} \right)^2} \right|$$

სადაც

$$\Delta_i = y_i - y_i^m$$

ზემოთ განხილული მეთოდოლოგია შეეხება ოპტიმალური მართვის სისტემის მოდელის იმ ელემენტებს, რომელიც ხასიათდება წრფივი დამოკიდებულებით.

მთლიანობაში მართვის სისტემის ელემენტების ფუნქციონირება შეიძლება იყოს არაწრფივი, მიუხედავად ამისა ჩვენს მიერ შემოგანხილული მეთოდოლოგია შესაძლებლობას იძლევა გამოყენებულ იქნას სისტემის ელემენტებს შორის ფუნქციონალური კავშირის დასამყარებლად.

3. დასკვნა

შემოთავაზებულ ნაშრომში, აპრიორულ ფორმაში წარმოდგენილია მაღალ ხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებისგან ღვინის წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის კომპიუტერული მართვის სისტემის დაპროექტების საკითხები, რომელიც წარმოადგენს სამადულრე წარმოების კლასიკურ მაგალითს. ტექნოლოგიის თეორიაზე დაყრდნობით განხილულია უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესის დეკომპოზიციის პრობლემის გადაჭრის ერთერთი სრულიად ახალი მიდგომა, რაც გამოიხატება ელემენტების (ქვესისტემების) ფუნქციონირების მოდელების ურთიერთ კავშირის ამოცანების გადაწყვეტასთან.

განხილული მეთოდოლოგია პირველად იქნება გამოყენებული ქართული ღვინის (ეგალიზაციის პროცესის) წარმოებაში.

ლიტერატურა :

1. ცინცაძე ა. კაპანაძე თ. გაბედავა ო. (2010). ბიოტექნოლოგიური სისტემების მოდელირების ზოგიერთი პრობლემის აპრიორული ფორმალიზაცია. Transactions. Georgian Technical University . AUTOMATED CONTROL SYSTEMS - № 1(8), 2010. გვ 110-114.
2. Волова Т.Г. (1999). Биотехнология. Новосибирск. Россияю
3. Биохимические процессы и использование ферментов в пищевых технологиях. <http://lsnau.ru/bioximicheskie-processy-i-ispolzovanie-fermentov-v-pishhevyyx-technologiey/>
4. Великая Е.И. Суходол В.Ф. (1983). Общая технология бродильных производств. –М. Легкая и пищевая промышленность.

5. კაპანაძე თ., ცინცაძე ა., გაბელავა ო. (2008). ბიოტექნოლოგიური სისტემების მოდელირების ზოგიერთი პრობლემების აპრიორული ფორმალიზაცია. სტუ-ს შრ.კრ. „მას“, №8. გვ. 110-113
6. კვესიტაძე გ., კვესიტაძე ე. (1999). ბიოტექნოლოგია. თბილისი, შპს „ეტრათი“. <http://konf-apobr.ru/index.php/sektion3/217-akchvo>
7. Воробьев В.В. (<http://konf-apobr.ru/index.php/sektion3/217-akchvo.html>). Актуальные проблемы моделирования системы формирования и управления качеством продукции. ГОУ ВПО «МГУТУ», Москва, Россия

**ABOUT ONE APPROACH DETERMINEFUNCTIONIN PARAMETRISOFTHE
GENERALIZED MODEL DURING DECOMPOSITION OF COMPLEX TECHNO –
DYNAMICAL SYSTEMS**

Temur Kapanadze, Nino Lomidze, Nino Chalidze,
Levan Gurbeleishvili
Georgian Technical University

Summary

Task of the technology is to identify the different regularities about the nature of the conversion of cultivated assets from one species to another in order to identify and use efficient production processes. In the paper discusses the principles of decomposition techno-dynamic systems, construction models of management. This methodology, in the case of classical modeling do not provide the communication features between its elements, in the process of functioning of the systems, and exiting options of a single object presented as the input parameter for the next object. In the proposed modeling procedure mentioned above connection features is provided and so-called micro-models is effected the formation input parameters of the second of the object based on the output parameters of the first object. Such a (constructional) approach of system modeling process relatively complicates the models implementation, but significantly increases the degree of adequacy to real objects of management.

**ОПРЕДЕЛЕНИЕ ПАРАМЕТРОВ ОБОБЩЕННОЙ МОДЕЛИ АСУ
ТЕХНОДИНАМИЧЕСКИХ КОМПЛЕКСОВ ПРОИЗВОДСТВА ГРУЗИНСКОГО ВИНА**

Капанაძე Т., Лომიძე Н., Чалиძე Н., Гурბელიშვილი Л.
Грузинский Технический Университет

Резюме

Как известно, моделирование сложных систем связано с рядом проблем, вызванных многоуровневой иерархической структурой, большой размерностью реализуемых задач и т.д. Рассматривается принцип декомпозиции системы на основе теории технологии, при котором опираясь на теорию технологии, осуществляется сознательное разделение объектов управления на отдельные автономные подобъекты-элементы, с дальнейшим моделированием элементов систем и установление связи между их модулями. На основе теории идентификации, рассмотрена методология определения связывающих параметров элементов системы (их моделей) при объектах линейного характера.

კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემის ზოგიერთი მეთოდის რეალიზაციის საკითხების შესახებ

ვალერიან კეკელია, გულნარა კოტრიკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია კრიპტოგრაფიის ზოგიერთი მეთოდების რეალიზაციის პრაქტიკული საკითხები. კერძოდ, იგი ეძღვნება ცნობილი სიმეტრიული მეთოდების (ცეზარის, ვიჟინერისა და ვერნამის) მარეალიზებელი ალგორითმების აბსტრაქტული მოდელის სახით წარმოდგენას და მათი აპარატურული რეალიზაციის საკითხებს. შემოთავაზებულია მათემატიკური აპარატი, რომელსაც საფუძვლად უდევს ალგორითმული (მიკროპროგრამული) ალგებრის სისტემის – ოპერატორული ალგებრის და პირობის ალგებრის ცნება, რომელთა ტერმინებშიც შეიძლება იყოს აღწერილი სხვადასხვა სახის ალგორითმული პროცესები.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოგრაფია. ოპერატორული ალგებრა. პირობების ალგებრა. მიკროპროგრამა. იტერაცია. კონიუნქცია. დიზიუნქცია. ცეზარი. ვიჟინერი. ვერნამი.

1. შესავალი

ნაშრომში განხილულია მათემატიკური აპარატი, რომელსაც საფუძვლად უდევს ორი ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული ალგებრის – ოპერატორული- $G(G_1, G_2, \dots)$ და პირობის- $P(\alpha, \beta, \dots)$ ალგებრის ცნება. აღნიშნული ალგებრები წარმოდგენილი არიან ერთრეგისტრიანი ან მრავალრეგისტრიანი პერიოდულად განსაზღვრული გარდასახვების სახით, რომელთა ტერმინებშიც აღიწერება ზოგიერთი ალგორითმული პროცესების მიკროპროგრამები. ცნობილია, რომ ოპერატორული ალგებრის ელემენტებს როგორც ბაზუს, ასევე მისგან წარმოებულს, უწოდებენ ოპერატორებს და განსაზღვრულნი არიან ისინი M ინფორმაციულ სიმრავლეზე, სადაც M იმ რეგისტრების მდგომარეობათა საერთო რიცხვია, რომლების მონაწილეობას ღებულობენ სისტემაში მიმდინარე გამოთვლით პროცესებში. დაუშვათ, რომ $X^R = \{\dots, x_{-1}^R, x_0^R, x_1^R, \dots\}$ (სადაც $R=1, 2, 3, \dots$) ორმხრივ უსასრულო რეგისტრების ერთობლიობაა და მათი ყოველი n -ური ($-\infty < n < \infty$) ელემენტი (ე.წ. ტრიგერი) ღებულობს ერთ-ერთ მნიშვნელობას სიმრავლიდან $E_2 = \{0, 1\}$. პირობის ალგებრის ელემენტები (როგორც ბაზუსის, ასევე მისგან წარმოებულის) განისაზღვრებიან M ინფორმაციულ სიმრავლეზე, როგორც პირობები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ერთ-ერთი მნიშვნელობა თავისი სამი მნიშვნელობიდან $\langle T(\text{true}), F(\text{false}), U(\text{unknown}) \rangle$. ოპერატორულ ალგებრაში ძირითად ოპერაციად მიღებულია გამრავლების ოპერაცია ანუ ოპერატორების თანმიმდევრული შესრულება, ხოლო პირობის ალგებრაში – ოპერაციები: კონიუნქცია, დიზიუნქცია, ინვერსია. განვიხილოთ ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება G და P ალგებრების ურთიერთდაკავშირება [1,3]:

1. α - დიზიუნქცია არის ოპერაცია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შესასრულებელი ოპერატორი ორი მოცემული ოპერატორიდან:

$$Q = (\alpha \ G_1 \cup \ G_2)$$

სადაც $Q=G_1$ თუ $\alpha=\text{true}$ და $Q=G_2$ თუ $\alpha=\text{false}$, ხოლო თუ $\alpha=\text{unknown}$ -ს ეს არის შემთხვევა, რაც იწვევს error-ს. აღნიშნული ოპერაცია პროგრამირებაში ცნობილია როგორც “პირობითი გადასვლის” ოპერატორი ანუ ოპერატორი, რომელიც გამოიყენება განშტოებადი ალგორითმების სარეალიზაციოდ.

2. α - იტერაცია, არის ოპერაცია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შესასრულებელი ოპერატორის მრავალჯერადი გამეორება:

$$Q = \{ \alpha \ G \}$$

სადაც Q ოპერატორი ღებულობს G შესასრულებელი ოპერატორის მნიშვნელობებს მანამ, სანამ $\alpha = \text{true}$. ოპერატორი Q არ არის განსაზღვრული, თუ ლოგიკური პირობა $\alpha = \text{unknown}$ -ს. იმ შემთხვევაში, თუ $\alpha = \text{false}$ ოპერატორი G არ სრულდება. α -იტერაციის ოპერაცია პროგრამირებაში გამოიყენება “ციკლური პროცესების” სარეალიზაციოდ. აღწერილი ოპერაციების სახესხვაობები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი გამოსახულებების სახით:

$$\begin{aligned} Q &= \{G \alpha\} = G \{ \alpha G \} \\ (G_1 \cup G_2) &= (\alpha G_2 \cup G_1) \\ Q &= \{_F G\} = e \end{aligned}$$

სადაც e ცარიელი ოპერატორია.

$\beta = G \times \alpha$ - არის ლოგიკური პირობა, რომელიც ღებულობს იმავე მნიშვნელობას რასაც α , ოღონდ G ოპერატორის შესრულების შემდეგ [3].

2. ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ ნებისმიერი ოპერატორის წარმოდგენას ალგორითმული ალგებრის სისტემაში უწოდებენ ამ ოპერატორის რეგულარულ მიკროპროგრამას [1,3]. მაგალითის სახით ქვემოთ მოყვანილია რეგულარული მიკროპროგრამა - Σ^c , რომლის შესრულების შედეგი ორი მთელი რიცხვის ჯამია:

$$\Sigma^c = \begin{matrix} 0^i & Z^{i+1} \\ 0^j & Z^{j+2} \end{matrix} \Sigma_{R^{i,j}} \quad (1)$$

$$\Sigma_{R^{i,j}} = \left[\begin{matrix} \text{mod}_2(X_n^i, X_n^j) \\ \alpha \ \& (X_n^i, X_n^j) \end{matrix} \right] L_1 \quad (2)$$

სადაც, $\Sigma_{R^{i,j}}$ - ორი მთელი რიცხვის (r_1 და r_2) შეკრების მიკროპროგრამაა. იგულისხმება, რომ რიცხვები r_1 და r_2 შესაბამისად შეტანილია X^i და X^j რეგისტრებში, ხოლო მიკროპროგრამის $\Sigma_{R^{i,j}}$ შესრულების შედეგი ფიქსირდება X^i რეგისტრში, იმ შემთხვევაში თუ $R=i$, ხოლო როცა $R=j$ - X^j რეგისტრში.

$0^R - X^R$ ($R=i, j, \dots$) რეგისტრის ნულოვან მდგომარეობაში გადაყვანის ოპერატორია, ხოლო Z^{R-r} - r რიცხვის მნიშვნელობის X^R - რეგისტრში შეტანის ოპერატორია.

$\text{mod}_2(X_n^i, X_n^j)$ - წარმოებული ლოგიკური ოპერატორია, მარეალიზებული $f(x_n^i, x_n^j)$ გადამრთველი ფუნქციის $f(x_n^i, x_n^j) = \sim x_n^i \& x_n^j \cup x_n^i \& \sim x_n^j$ (ფუნქცია აღწერს X^i და X^j რეგისტრების n -ური თანრიგების ($-\infty < n < \infty$) მნიშვნელობების ორის მოდულით შეკრებას).

$\&(X_n^i, X_n^j)$ - ბაზური ლოგიკური ოპერატორია მარეალიზებული $f(x_n^i, x_n^j)$ გადამრთველი ფუნქციის $f(x_n^i, x_n^j) = x_n^i \& x_n^j$ (ფუნქცია აღწერს X^i და X^j რეგისტრების n -ური თანრიგების მნიშვნელობების ლოგიკურ გამრავლებას - კონიუნქციას).

$L_1 - X^j$ რეგისტრში შეტანილი რიცხვის ერთი თანრიგით მარცხნივ დაძვრის ოპერატორია.

α - ლოგიკური პირობაა, სადაც $\alpha = \text{false}$, თუ ლოგიკური ოპერატორის $\&(X_n^i, X_n^j)$ შესრულების შედეგად X^j რეგისტრის ყველა ელემენტი მიიღებს ნულის მდგომარეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში $\alpha = \text{true}$.

შევნიშნოთ, რომ მიკროპროგრამებში ერთ სვეტში შეტანილი ოპერატორები სრულდება პარალელურად. აღნიშნულიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ Z^i და Z^j ასევე 0^i და 0^j ოპერატორები სრულდება ერთდროულად. ერთდროულად სრულდება აგრეთვე - $\text{mod}_2(X_n^i, X_n^j)$ და $\&(X_n^i, X_n^j)$ ოპერატორები.

განვიხილოთ Σ^c მიკროპროგრამის შესრულების პროცედურა კონკრეტულ მაგალითზე. ვთქვათ, შესაკრებია ორი მთელი დადებითი რიცხვი: 87 და 78, რომელთა ჯამი უდრის 165-ს. შევნიშნოთ,

რომ 87 და 78, W და N სიმბოლოების კოდების მნიშვნელობებია შესაბამისად, ათობით ათვლის სისტემაში.

01010111	შეესაბამება რიცხვს 87, ორობით ათვლის სისტემაში	X ¹
01001110	შეესაბამება რიცხვს 78, ორობით ათვლის სისტემაში	X ²
00011001	ჯამი mod ₂	X ¹
01000110	&-კონიუნქცია (ლოგიკური ნამრავლი)	X ²
10001100	L ₁ ² (X ² –ის ერთი თანრიგით მარცხნივ დაძვრა)	X ²
00011001	ოპერანდების ფორმირება	X ¹
10001100		X ²
10010101	ჯამი mod ₂	X ¹
10001000	&-კონიუნქცია (ლოგიკური ნამრავლი)	X ²
00010000	L ₁ ² (X ² –ის ერთი თანრიგით მარცხნივ დაძვრა)	X ²
10010101	ოპერანდების ფორმირება	X ¹
00010000		X ²
10000101	ჯამი mod ₂	X ¹
00010000	&-კონიუნქცია (ლოგიკური ნამრავლი)	X ²
00100000	L ₁ ² (X ² –ის ერთი თანრიგით მარცხნივ დაძვრა)	X ¹
10000101	ოპერანდების ფორმირება	X ¹
00100000		X ²
10100101	ჯამი mod ₂ . (1*128+32+4+1=165)	X ¹
00000000	& - კონიუნქცია (ლოგიკური ნამრავლი)	X ²

რადგან & - კონიუნქციის შედეგი გახდა ნულის ტოლი. ცხადია, რომ მიკროპროგრამის შესრულება დამთავრებულია.

განვიხილოთ შეკრების ოპერაციის შეტრუნებული ოპერაცია “გამოკლება”, კონკრეტულ მაგალითზე და შემდეგ შევადგინოთ “გამოკლების” ოპერაციის მარეალიზებული მიკროპროგრამა.

ვთქვათ გამოსათვლელია სხვაობა ორი (165 და 78) დადებით რიცხვებს შორის, რეზულტატი იქნება 165-78=87. აღნიშნული ოპერაციის შესასრულებლად საჭიროა მაკლები (78) გადავიყვანოთ შეტრუნებულ კოდში და მიღებულ შედეგს ბოლო თანრიგში დაუმატოთ 1. აღნიშნული მანიპულაციების შესრულების შედეგად მიიღება მაკლები გადაყვანილი დამატებით კოდში. ამრიგად, გვექნება: ~(01001110)+00000001=10110010. აღწერილი პროცედურების შესრულების შემდეგ, ვასრულებთ მიკროპროგრამას “შეკრება” - Σ^c.

10100101	საკლები, ანუ 165-ის ორობითი კოდი	X ¹
10110010	მაკლები, ანუ 78-ის დამატებითი კოდი	X ²
00010111	ჯამი mod ₂	X ¹
10100000	&-კონიუნქცია (ლოგიკური ნამრავლი)	X ²
01000000	L ₁ ² (X ² –ის ერთი თანრიგით მარცხნივ დაძვრა)	X ²
00010111	ჯამი mod ₂ ოპერანდების ფორმირება	X ¹
01000000	&-კონიუნქცია (ლოგიკური ნამრავლი)	X ²
01010111	ჯამი mod ₂ . (1*64+1*16+1*4+1*2+1=87)	X ¹
00000000	&-კონიუნქცია (ლოგიკური ნამრავლი)	X ²

რადგან &-კონიუნქციის (ლოგიკური ნამრავლის) შედეგი გახდა ნულის ტოლი ცხადია, რომ ოპერაციის შემდგომი შესრულება დამთავრებულია.

აღწერილი პროცედურის (ორი მთელი რიცხვის ოპერაცია “გამოკლება”: r1-r2) მარეალიზებული მიკროპროგრამას - Σ^s აქვს შემდეგი სახე:


$$\Sigma^s = \begin{matrix} 0^i & Y^i_1 \\ 0^j & Z^j_{r2} \end{matrix} \sim X^i \Sigma^i_{i,j} \quad 0^i Z^i_{r1} \Sigma^i_{i,j} \quad (3)$$

სადაც, Y^i_1 – არის ოპერატორი, რომლის შესრულების შედეგად X^i რეგისტრის ბოლო თანრიგი გადადის ერთის (ანუ – 0000...0001) მდგომარეობაში [3].


შემოთავაზებული მათემატიკური აპარატის გამოყენებით შედგენილია მიკროპროგრამები და მათი სქემური რეალიზაციის აბსტრაქტული მოდელები, კრიპტოგრაფიაში ფართოდ ცნობილი სიმეტრიული სისტემის მეთოდებისა, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება ცეზარის, ვიჟინერისა და ვერნამის მეთოდები.

აღნიშნული მეთოდების მიხედვით ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა-გაშიფვრა ხორციელდება ერთი ან რამოდენიმე სიმბოლოს ე.წ. დაშიფვრის დახურული გასაღების - DG გამოყენებით. DG შეირჩევა საწყისი ტექსტური ინფორმაციის დამშიფრავის (სტიდ) მიერ, რომელსაც იგი პირადად (საიდუმლო გზით) გადასცემს დაშიფრული ტექსტური ინფორმაციის გამშიფრავის (დტიგ-ს). ავღნიშნოთ, რომ დახურული გასაღები - DG, შერჩეული სტიდ-ის მიერ გამოიყენება, როგორც ტექსტის დასაშიფრად ასევე მის გასაშიფრადაც. რაც შეეხება დაშიფრულ ტექსტურ ინფორმაციას (Dti), მისი გადაცემა შეიძლება და როგორც წესი, ხორციელდება ხელთარსებული ტექნიკური საშუალებებით, ღია არხებით (გლობალური ქსელით), რაც ყველასათვის ხელმისაწვდომია [2].

საწყისი ტექსტური ინფორმაციის (Sti) დაშიფვრისა და გაშიფვრის პროცედურების რეალიზაციის ეტაპები, შესაბამისად, ნაჩვენებია 1-ელ და მე-2 ნახაზებზე.



ნახ.1. საწყისი ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრის პროცედურა.



ნახ.2. დაშიფრული ტექსტური ინფორმაციის გაშიფვრის პროცედურა.

მომავალში იგულისხმება, რომ Sti აიკრიფება კლავიატურიდან იმ სიმბოლოების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია ASCII სტანდარტით. ამ სტანდარტის მიხედვით ნებისმიერი S_i სიმბოლოს რიცხვითი კოდის მნიშვნელობა, ათობით ათვლის სისტემაში, ეკუთვნის სასრულო სიმრავლეს U, სადაც $U \in \{32,33, \dots, 106,106\}$. ცხადია, რომ S_i სიმბოლოს რიცხვითი კოდი, რომ წარმოვადგინოთ ორობით ათვლის სისტემაში, საჭიროა შეიძინო ბიტი. დაშიფვრა-გაშიფვრის პროცედურების განხორციელებისა და მათი მარეალიზებული სქემის აღწერის მიზნით, განვიხილოთ სამი ორმხრივ უსასრულო ორობითი რეგისტრი X^1, X^2 და X^3 (შევნიშნოთ, რომ X^3 რეგისტრი გამოიყენება შუალედური რეზულტატების დასამანსოვრებლად). დავყოთ ეს რეგისტრები ტოლ ნაწილებად. თითოეულ ნაწილში

N^z ($z=1,2,3,\dots,Z$ -სიმბოლოების რაოდენობა Sti -ში) გავაერთიანოთ რეგისტრის რვა ელემენტი ანუ რვა ტრიგერი - X^z_j (სადაც $j=7,6,5,4,3,2,1,0$). X^1 რეგისტრის N^z ნაწილში შევიტანოთ დასაშიფრი ტექსტის S_z სიმბოლოს კოდის ორობითი მნიშვნელობა, ხოლო X^2 მდგომარეობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

ცეზარის მეთოდი. X^2 რეგისტრის ყოველ N^z ($z=1,2,3,\dots$) ნაწილში შეიტანება დამშიფრავი სიმბოლოების კოდების ორობითი მნიშვნელობა. აღნიშნულ მეთოდში Sti დასაშიფრად (ანუ დამშიფრავი სტრიქონის ფორმირებისათვის), როგორც ცნობილია, გამოიყენება ერთი სიმბოლო ან სიმბოლოების მიმდევრობა დაძრულნი ერთმანეთისგან გარკვეული წესით, რომელთა რაოდენობა Z -ის ტოლია.

ვიენერის მეთოდი. როგორც ცნობილია, წინასწარ შერჩეული (ვთქვათ, ABC) სიმბოლოებისგან ფორმირდება დამშიფრავი სტრიქონი (შემდეგი წესით: $ABCABCABC\dots$), რომელშიც სიმბოლოების რაოდენობა უნდა იყოს ტოლია (და არა მეტი და არც ნაკლები) Sti -ში შემავალი სიმბოლოების რაოდენობაზე. ამგვარად ფორმირებული სტრიქონში შემავალი ყოველი სიმბოლოს რიცხვითი კოდი შეიცვლება მისთვის შესაბამისი ორობითი კოდით და შეიტანება X^2 რეგისტრში.

ვერნამის მეთოდი. სტილ-ი ირჩევს დამშიფრავ ტექსტს, რომელშიც სიმბოლოების რაოდენობა Sti -ში შემავალი სიმბოლოების რაოდენობის ტოლია. X^1 რეგისტრში Sti -ის შეტანის ანალოგიურად X^2 რეგისტრში შეიტანება დამშიფრავი ტექსტის სიმბოლოების კოდების ორობითი მნიშვნელობები. შევნიშნოთ, რომ X^2 რეგისტრში ნაკლები სიმბოლოების შემცველი ტექსტის შეტანის შემთხვევაში, ამ რეგისტრის ბოლო თანრიგები იქნება შევსებული ნულებით [2].

განვიხილოთ ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა-გაშიფვრის პროცედურების რეალიზაციის ორი ვარიანტი. ავლნიშნოთ, რომ თითოეული მათგანი სრულდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე სრულდება Sti დაშიფვრა, ხოლო მეორეზე - Dti -გაშიფვრა. ორივე შემოთავაზებული ვარიანტისათვის ამ ეტაპების თანმიმდევრული შესრულება იწვევს ანალოგიურ გარდასახვებს.

ვარიანტი 1. Sti დაშიფვრისა მარეალიზებელ მიკროპროგრამას M^1 აქვს შემდეგი სახე:

$$M^1 = \text{mod}_2(X^1_n, X^2_n), \quad (4)$$

სადაც ($-\infty < n < \infty$), ხოლო $\text{mod}_2(X^1_i, X^2_i)$ - წარმოებული ლოგიკური ოპერატორია (იხ.ფორმულა 2). M^1 მიკროპროგრამის რეალიზაციის შედეგად X^1 რეგისტრში დაფიქსირდება შიფროტექსტი (Dti).

M^1 მიკროპროგრამის განმეორებითი შესრულების შედეგად, X^1 რეგისტრში დაფიქსირებული შიფროტექსტი Dti , გარდაისახება Sti , რომელიც დაფიქსირდება აგრეთვე X^1 რეგისტრში.

ვარიანტი 2. X^1 რეგისტრის ყოველი N^z ნაწილისათვის თუ განხორციელდება Σ^z მიკროპროგრამის მარეალიზებელ გარდასახვები და მიეთითება, რომ $R=1$, X^1 რეგისტრში დაფიქსირდება შიფროტექსტი (Dti).

Dti -დან Sti აღდგენის მიზნით საკმარისია X^1 , X^2 და X^3 რეგისტრებზე განხორციელდეს Σ_1^z მიკროპროგრამით (5) განსაზღვრული გარდასახვები:

$$\Sigma_1^z = X_1^3 \begin{matrix} Y_1^{1,z} \\ Z_1^2 \end{matrix} \sim X^2 \Sigma_2^{1,2} X_3^1 \Sigma_1^{1,2} \quad (5)$$

სადაც $Y_1^{1,z}$ არის მიკროოპერაცია, რომლის შესრულების შედეგია X^1 რეგისტრის ყოველ N^z ($z=1,2,3,\dots,Z$) ნაწილში x_0^1 ელემენტის ნულის მდგომარეობაში გადაყვანა.

Σ_1^z მიკროპროგრამის შესრულების შედეგი - Sti დაფიქსირდება X^1 რეგისტრში.

დასასრულს ავლნიშნოთ, რომ გაერთიანებული სიმბოლოების (ინგლისური, ქართული, რუსული ენების ალფაბეტის) ნაკრების ბაზაზე აგრეთვე შედგენილია კრიპტოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული სიმეტრიული სისტემების ალგორითმების მიკროპროგრამები და შემოთავაზებულია მათი სქემოტექნიკური რეალიზაციის ოპტიმალური ვარიანტები, ასევე დამუშავებულია Microsoft Visual

studio 2010 გარემოში დაპროგრამების ენის C# ბაზაზე ტექსტური ინფორმაციის დაშიფვრა-გაშიფვრის მარეალიზებელი პროგრამები.

3. დასკვნა

ავლნიშნოთ, რომ კრიპტოგრაფიის სიმეტრიული სისტემების მეთოდების შემოთავაზებული მიკროპროგრამული რეალიზაცია, მიკროელექტრონიკაში თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით არ უნდა წარმოადგენდეს დიდ სირთულეს და არ უნდა მოითხოვდეს დიდ დანახარჯებს. ანუ შეიძლება იყოს ეკონომიკური, ფინანსური თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა:

1. Глушков В. М., Теория автоматов и формальные преобразования микропрограмм, журн. „Кибернетика“ 5, К. 1965;
2. კოტრიკაძე გ. (2010). ინფორმაციის დაცვის მოცულობითი მატრიცის მეთოდის დამუშავება და მისი შედარება ასიმეტრიულ მეთოდებთან. შრომები, მართვის ავტომატიზირებული სისტემები, სტუ №1(8), გვ.45-51.
3. კეკელია ვ. (2010). ალგორითმული ალგებრის საშუალებათა გამოყენება მიკროპროგრამების საკითხებში. ილ. ჭავჭავაძის სახ. თბილისის სასწ. უნივერსიტეტი, „სამეცნიერო ძიებანი“, ტ.6, თბილისი.

SYMMETRIC CRYPTOGRAPHY SYSTEM ON THE METHOD OF IMPLEMENTATION ISSUES

Kekelia Valer, Kotrikadze Gulnara
Georgian Technical University

Summary

The article deals with some of the methods for the realization of practical issues in cryptography. In particular, it is dedicated to the well-known symmetric methods (Cezar, Vijnier and Vernam) algorithms selling model in the form of an abstract idea and the realization of their hardware. The proposed mathematical apparatus, which is based on algorithmic system algebra - terms of camerawork algebra and concepts algebra, which may be described the term different of algorithmic processes.

О ВОПРОСАХ РЕАЛИЗАЦИИ НЕКОТОРЫХ МЕТОДОВ СИМЕТРИЧНОЙ СИСТЕМЫ КРИПТОГРАФИИ

Кекелия В., Котрикадзе Г.
Грузинский Технический Университет

Резюме

В работе рассмотрены практические вопросы реализации некоторых методов криптографии. В частности, она посвящена представлению в виде абстрактной модели алгоритмов, реализующие известные симметрические методы (Цезария, Видженера и Вернама) и вопросам их аппаратной реализации. Предложен математический аппарат, в основе которого лежит понятие системы алгоритмической (микропрограмной) алгебры - алгебры операторов и алгебры условий, в терминах которых может быть описаны разного рода алгоритмические процессы.

**მონაცემთა კლასტიზაცია ნაწილაკთა გროვის
მეთოდის გამოყენებით**

პეტრე პეტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


რეზიუმე

მონაცემთა კლასტიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონაცემთა მოპოვებისა და დამუშავების, დიდი მოცულობის მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის, აგრეთვე მრავალ-აგენტური მოდელირებისა და ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტის დროს. დღეისათვის შემუშავებულია მონაცემთა კლასტიზაციის ალგორითმების მთელი კლასი. თუმცა ბოლო პერიოდში, კლასტიზაციის თვალსაზრისით, პერსპექტიულ და საინტერესო მიმართულებად მიიჩნევა ე.წ. ბიო-ინსპირირებული ოჯახის ალგორითმები, ცნობილი როგორც „გროვის ინტელექტი“ (Swarm Intelligence). სტატიაში განხილულია მონაცემების კლასტიზაციისადმი ახლებური მიდგომა, რომელიც ეფუძნება ნაწილაკთა გროვის ინტელექტის მეთოდებს, რომლის გამოყენება ხდება მრავალკრიტერიუმული ოპტიმიზაციის ამოცანების გადაჭრის უწყვეტ პროცესში. კვლევის შედეგებისა და ალგორითმის ეფექტურობის თვალსაჩინოებისათვის გამოყენებულ იქნა კომპიუტერული სიმულაცია.

საკვანძო სიტყვები: მონაცემთა კლასტიზაცია. მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი. კოლექტიური ინტელექტი. ნაწილაკების გროვის ოპტიმიზაცია.

I. შესავალი

კლასტიზაცია არის მონაცემების დაჯგუფება ობიექტების მსგავსობის მიხედვით, რომლის ევოლუციური პროცესი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე. თითოეული ჯგუფი, ანუ კლასტერი, შეიცავს მსგავს ობიექტებს ჯგუფის შიგნით და განსხვავებულ ობიექტებს სხვა ჯგუფებისგან.



ნახ.1

ბოლო ათწლეულების განმავლობაში კლასტიზაციის როლის მნიშვნელობა იზრდება სხვადასხვა სფეროში, ინჟინერია (მანქანათა შემეცნება, ხელოვნური ინტელექტი, გამოსახულების ამოცნობა), კომპიუტერული მეცნიერებები (ინფორმაციის ძიება ინტერნეტში, ტექსტური და გრაფიკული მონაცემების მოძიება-ფრაგმენტაცია), მედიცინა, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში. კლასტიზაციის ამოცანები ასევე აქტუალურია სტატისტიკაში, გრაფთა თეორიაში, ხელოვნურ ნეირონულ ქსელებში, ევოლუციურ გამოთვლებსა და სხვა ოპტიმიზაციის ამოცანებში [1].

ინფორმაციის მოძიება, იგივე მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზი, არის ახალი მძლავრი ტექნოლოგია, რომელიც მიმართულია დიდი მონაცემთა ბაზებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებისკენ. ასეთი ინსტრუმენტები გამოიყენება მომავლის ტენდენციის და ქცევის პროგნოზირებისთვის და სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშესაწყობად. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება დიდი ბაზებიდან, საჭიროებს მრავალფეროვანი მონაცემების სწრაფ და

ავტომატიზებულ კლასტერიზაციის მექანიზმს. კლასიკური კლასტერიზაციის მეთოდებით კი ამ დონის ოპტიმიზაცია შეუძლებელია. ბიო-ინსპირირებული ოჯახის ალგორითმებმა, კერძოდ კოლექტიურ ინტელექტზე დაფუძნებულმა მეთოდებმა უკეთესი შედეგი აჩვენეს ბევრ კლასიკურ მეთოდებთან შედარებით.

2. კოლექტიური ინტელექტის მეთოდების მოკლე მიმოხილვა

კოლექტიური ინტელექტის ალგორითმები დაფუძნებულია ბიოლოგიურ არსებათა ჯგუფურ ქმედებაზე. ისინი, მიუხედავად ინდივიდების შეზღუდული შესაძლებლობებისა, ახერხებენ კოლექტიური ქმედებით გადაჭრან ბევრი კომპლექსური ამოცანა. ამის ნათელი მაგალითია ჭიანჭველების კოლონიის ოპტიმიზაციის მეთოდი, რომელიც გამოიყენება NP-კლასის დისკრეტული ოპტიმიზაციის ამოცანებში და ნაწილაკების გროვის ოპტიმიზაციის მეთოდი, საძიებო არის გლობალური ოპტიმუმების დასადგენად [2,3].

თვალსაჩინოების მიზნით, განვიხილოთ ნაწილაკების გროვის ოპტიმიზაციის მეთოდი (PSO). გროვის ინტელექტის ოპტიმიზაციის მეთოდი დაფუძნებულია კოლექტივის სოციალურ ქცევაზე. იგი კონცეპტუალურად ძალზე მარტივია, რადგან იყენებს მხოლოდ მარტივ არითმეტიკული ოპერაციებს საძიებო არეში ოპტიმუმების დასადგენად [4,5].


პოპულაციის ინიციალიზაცია PSO-ში ხდება თითოეული ინდივიდის (ნაწილაკის) შემთხვევითი X_i პოზიციის და V_i სიჩქარის არჩევით. ხოლო f ფუნქცია გამოითვლება აღნიშნული პარამეტრების საფუძველზე n -განზომილებიან საძიებო არეში $X_i = (x_{i1}, x_{i2}, x_{i3}, \dots, x_{in})$ და $V_i = (v_{i1}, v_{i2}, v_{i3}, \dots, v_{in})$.

ყოველ ბიჯზე ნაწილაკების პოზიციები და სიჩქარეები კორექტირდება და ხელახლა გამოითვლება ფიტნეს ფუნქცია. მარტივ განახლების განტოლებას, i -ური ნაწილაკის d -ური განზომილებისთვის აქვს შემდეგი სახე:

$$V_{id}(t+1) = \omega \cdot V_{id}(t) + C_1 \cdot \varphi_1 \cdot (P_{i1d} - X_{id}(t)) + C_2 \cdot \varphi_2 \cdot (P_{gd} - X_{id}(t)) \quad (1)$$

$$X_{id}(t+1) = X_{id}(t) + V_{id}(t+1) \quad (2)$$

სადაც φ_1 და φ_2 არის შემთხვევითი დადებითი რიცხვები, C_1 და C_2 აჩქარების კონსტანტებია, ხოლო ω არის ინერცია. P_{i1} - არის i -ური ნაწილაკის ლოკალური საუკეთესო მნიშვნელობა, ხოლო P_g - გროვის გლობალური საუკეთესო მნიშვნელობა. სიჩქარის განახლება იტერაციებს შორის ილუსტრირებულია მე-2 ნახაზზე. ალგორითმის მიხედვით, იტერაციების დამთავრების შემდეგ, ნაწილაკების უმეტესობა მოექცევა საძიებო არის გლობალური ოპტიმუმის ახლო რადიუსში.




ნახ.2

3. კლასტერიზაციის ახლებური მიდგომა

მრავალკრიტერიუმიანი ანუ ლოკალური ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტის პროცესში აუცილებელი ხდება ნაწილაკების (აგენტების) კლასტერიზაცია, რისთვისაც ხდება თითოეული ნაწილაკისთვის საწყის კოორდინატებში ფიტნეს ფუნქციის გამოთვლა. ფიტნეს ფუნქციის საფუძველზე, ანუ საუკეთესო პოზიციებზე ირჩევა M რაოდენობის ლიდერი ნაწილაკები, დანარჩენი ნაწილაკები კი ავტომატურად ხდება აუთსაიდერები (ნახ.3).

$$I_j = \{p_j^i\}, \quad j=1,2, \dots, M. \quad (3)$$



ნახ.3. ლიდერების არჩევა

ლიდერების არჩევა შემდეგნაირად ხდება: იგება გრაფიკი, სადაც აბსცისთა ღერძზე განლაგდება ნაწილაკები (p) დალაგებული ფიტნეს-ფუნქციის ღონის მიხედვით კლებადობით, ხოლო ორდინატთა ღერძზე გადაიზომება ფიტნეს-ფუნქციის ღონეებს შორის დისტანციები (d). ვიმახსოვრებთ თითოეული კოორდინატს (p, d), რომელიც შეესაბამება p ნაწილაკს d ფიტნეს-ფუნქციის ღონის სხვაობით. რა თქმა უნდა, კოორდინატთა სათავეში მოხვდება p_1 ნაწილაკი ფიტნეს-ფუნქციის მაქსიმალური ღონით.

$$r_i = r_{max}; \quad r_i = f(p_i), \quad i=1,2, \dots, N. \quad (3.2)$$

$$d_i = r_{max} - r_i \quad (3.3)$$

$$\bar{d} = \frac{\sum_{i=1}^N d_i}{N}; \quad \bar{d}_i = \frac{\sum d_i}{i} \quad (3.4)$$


ამის შემდეგ კოორდინატთა სათავიდან აიგება წრფე შემდეგი ფორმულით:

$$\tan \alpha = \frac{\sum_{i=1}^N r_i}{N(r_{max} - r_N)} \quad (3.5)$$

წერტილები, რომლებიც მოხვდება აღნიშნული წრფის ქვემოთ გახდება ლიდერები, ხოლო ზემოთ აუთსაიდერები:

$$p_i \equiv \begin{cases} d_i \leq \bar{d}_i & - \text{leader} \\ \text{otherwise} & - \text{outsider} \end{cases} \quad (3.6)$$

ლიდერების მიხედვით K-Means ალგორითმის გამოყენებით ხდება მოცემული არის კლასტერიზაცია (ნახ.4). თითოეულ კლასტერში ნაწილაკებს შორის ურთიერთობის ფორმა „star“ - ტოპოლოგიით არის განსაზღვრული. ანუ თითოეულ აუთსაიდერ ნაწილაკს კავშირი აქვს მხოლოდ თავის შიდაკლასტერულ ლიდერ ნაწილაკთან.



ნახ.4

K-Means საშუალებას იძლევა გადავანაწილოთ N აუტსაიდერი M ლიდერების სიმრავლეზე $L = \{L_r\}$, $r=1,2, \dots, M$, იგი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს კლასტერის წერტილების საერთო კვადრატული გადახრა კლასტერის ცენტრიდან, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ლიდერ ნაწილაკს შეესაბამება:

$$\operatorname{argmin}_L = \sum_{r=1}^M \sum_{p_k^j \in L_r} \|p_k^j - p_k^r\|^2 \quad (3.7)$$

4. დასკვნა

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ შევძლოთ გარემოს დაბინძურების, განსაკუთრებით ატომური ენერგეტიკით, მონიტორინგი, რაც მიიღწევა მობილური, უკაბელო სენსორული ქსელიდან ინფორმაციის უწყვეტად მიღებით და ამ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებით. ამ საქმეში ჩვენი მთავარი ინსტრუმენტი არის მულტი-რობოტული სისტემა. ჩვენ განვსაზღვრეთ ამ სისტემის პარამეტრები და მისი მართვის სტრატეგიები. ამისთვის კი ამოსავალ წერტილად ავიღეთ ნაწილაკების გროვის ოპტიმიზაციის მეთოდები. ამრიგად, დასმული ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ ვმუშაობთ PSO-ზე დაფუძნებულ ადაპტურ ალგორითმზე, რომელიც გარემო პირობების შეცვლის შემდეგაც კი შეძლებს სწრაფად მოძებნოს ოპტიმალური შედეგი.

ლიტერატურა:

1. Evangelou I.E., Hadjimitsis D.G., Lazakidou A.A., Clayton C. (2001). Data Mining and Knowledge Discovery in Complex Image Data using Artificial Neural Networks, Workshop on Complex Reasoning an Geographical Data, Cyprus.
2. Lumer E., Faieta B. (1994). Diversity and Adaptation in Populations of Clustering Ants. In Proceedings Third Intern. Conf. on Simulation of Adaptive Behavior: from animals to animates 3, Cambridge, Massachusetts MIT press, pp. 499-508.
3. Eberhart R.C., Shi Y. (2001). Particle swarm optimization: Developments, applications and resources, In Proceedings of IEEE Intern. Conf. on Evolutionary Computation, vol.1, pp. 81-86.
4. Ahmed M.N., Yaman S.M., Mohamed N., Farag A.A., Moriarty T.A. (2002). Modified fuzzy c-means algorithm for bias estimation and segmentation of MRI data. IEEE Trans Med Imaging, 21, pp. 193-199.
5. Kennedy J., Eberhart R.C. (1997). A discrete binary version of the particle swarm algorithm, Proceedings of the Conf. on Systems, Man and Cybernetics, IEEE Service Center, Piscataway, NJ, pp. 4104-4109.

DATA CLUSTERING USING PARTICLE SWARM METHOD

Petre Petashvili
Georgian Technical University

Summary

Clustering aims at representing large datasets by a fewer number of prototypes or clusters. It brings simplicity in modeling data and thus plays a central role in the process of knowledge discovery and data mining. Data mining tasks, in these days, require fast and accurate partitioning of huge datasets, which may come with a variety of attributes or features. This, in turn, imposes severe computational requirements on the relevant clustering techniques. A family of bio-inspired algorithms, well-known as Swarm Intelligence (SI) has recently emerged that meets these requirements and has successfully been applied to a number of real world clustering problems. This paper explores the role of SI in clustering different kinds of datasets. It finally describes a new SI technique for partitioning any dataset into an optimal number of groups through one run of optimization. Computer simulations undertaken in this research have also been provided to demonstrate the effectiveness of the proposed algorithm.

КЛАСТЕРИЗАЦИЯ ДАННЫХ С ПРИМЕНЕНИЕМ МЕТОДА РОЯ ЧАСТИЦ

Петре Петашвили
Грузинский Технический Университет

Резюме

Кластеризация данных играет большую роль при решении задач добычи и обработки данных, интеллектуального анализа большого объема данных, а также мультиагентного моделирования и оптимизации. На сегодняшний день разработан целый класс алгоритмов кластеризации данных. Хотя в последнее время с точки зрения кластеризации перспективным и весьма интересным направлением считается т.н. группа био-инспирированных алгоритмов, известная как интеллект роя (Swarm Intelligence). В статье рассматривается новый подход к кластеризации данных, основанный на методах роя частиц, которые успешно применяются для решения задач многокритериальной оптимизации. Для наглядности результатов решения и эффективности разработанного алгоритма применена компьютерная симуляция.

DATABASE QUERY OPTIMIZATION: NEW APPROACH TO GENETIC PROGRAMMING

Lela Tsitashvili¹, Badri Meparishvili², Gulnara Janelidze²

1. Akhaltsikhe State Educational University, Georgia

2. Georgian Technical University

Summary

This paper discusses one of the actual problem of database management which is called Query Optimization. In the process of implementation every possible plan of binary tree makes the so-called situation space that is determined by dimension appropriate to $n!$ Factorial in case of n number of table. Contamperary database management systems, for instance SQL Server may be consisted of about 32 tables in one query. In this case the variation if the query are equal of about $2.6 * 10^{35}$ plans and selecting the optimal one causes time problem, even with superfast computers. The major function of the Query Optimizer existing in the database management system is searching the best plan that is a quit difficult task proceeded from the above-mentioned dimension. Thus, the needed to develop new and more effective methods for the Query optimization becomes evident. The paper discusses one modified algorithm of Genetic Programming, which carries out the selection of a combination of Relational Algebra operations and finds the optimal solutions very fast.

Keywords: Query processing. Query optimization. Evolutionary algorithms. Genetic programming.

1. Introduction

An SQL query is first translated into an equivalent extended relational algebra expression-represented as a query tree data structure-that is then optimized. In relational DBMS query optimization is based on formulation of a query and convert it into an algebraic query evaluation tree. Query tree is a tree data that corresponds to a relational algebra expression. It represents the input relations of the query as *leaf nodes* of the tree, and represents the relational algebra operations as *internal nodes*. The transformation of query purports the multiple enumeration of possibilities of free graph-based query structure (figure 1).




Fig.1

An execution of the query tree consists of executing an internal node operation whenever its operands are available and then replacing that internal node by the relation that results from executing the operation: Select : σ , Project : Π , Join : \bowtie , Cartesian Product : \times , A comparison operator: θ .

As regards query graph is a graph data structure that corresponds to a relational calculus expression. It does not indicate an order on which operations to perform first. There is only a single graph corresponding to each query. Operator graphs describe an operator-controlled data flow by representing operators as nodes that are connected by edges indicating the direction of data movement. In addition operator graphs can be used for the representation of algebra expressions [1].

From the viewpoint of query optimization, query processing is a set of activities which includes parsing the queries and translate them into expressions that can be implemented at the physical level of the file system, optimizing the query of internal form to get a suitable execution strategies for processing and then doing the actual execution of queries to get the results.

The cost of processing of query is determined by the several possible strategies for processing exist, especially when query is complex. The difference between a good strategies and a bad one may be several order of magnitude. In order to visualize what the main components of a database query optimizer are and how these components interact in order to produce a query plan that is ready for evaluation, it may be helpful to consider the figure 2 [2].




Fig.2

This article discusses the general optimization technique for query execution plan using the relational calculus representation of queries. Traditional query processing is dominated by statistics collection and probability theory, but analyzing and estimating query plans in the probabilistic manner described above has several inherent flaws.

At compilation-time, the statistics necessary to compute an optimal query plan may be unavailable or of poor quality. Additionally, the performance of any given plan may differ as available memory fluctuates, producing suboptimal results at different times in different situations depending on the server's load.

In distributed queries, network delays, node inefficiencies, and the potentially heterogeneous nature of the data make for suboptimal execution plans. Given the inherent and extreme complexity of database query optimization, it is reasonable to assume that query optimization exhibits a highly multimodal search space, and as such, precludes the use of either direct or indirect calculus-based search methods. Fortunately, there do exist a number of clever, robust search methods that work especially well for complex multimodal search spaces; one such method is known as a genetic algorithms.

The query processor applies rules to the internal data structures of the query to transform these structures into equivalent, but more efficient representations. The rules can be based upon mathematical models of the relational algebra expression and tree (heuristics), upon cost estimates of different algorithms applied to operations or upon the semantics within the query and the relations it involves. Selecting the proper rules to apply, when to apply them and how they are applied is the function of the query optimization engine, which can design to process particular relational operation and access path combinations using genetic programming.

2. GP Based Query Optimization

Genetic Programming (GP) as a specialization of genetic algorithms is based on biological evolution principle to find an optimum of the entire function. It is a machine learning technique used to optimize a population of computer programs according to a fitness landscape determined by a program's ability to perform a given computational task. Genetic programming is modification of genetic algorithms with one major difference. The population consists of individuals represented by specific data structure - trees. Inner nodes of the trees can represent functions (e.g. arithmetic operators, conditional operators or problem specific functions) and leaves would be terminals – external inputs, constants, zero argument functions. GP evolves computer programs, traditionally represented in memory as a tree structure, which can be easily evaluated in a recursive manner. Every tree node has an operator function and every terminal node has an operand, making mathematical expressions easy to evolve and evaluate. The main operators used in genetic algorithms such as GP are crossover and mutation [3].




Fig.3

GP based the query optimizer module examines all algebraic expressions that are equivalent to the given query and chooses the one that is estimated to be the cheapest. A GP algorithm works on a population of individuals, each of which represent a potential solution to a treelike expression composed of relational algebra operations. It is assumed that by recombining relevant sub-trees, it is possible to produce new expressions that provide fitter solutions. In order to provide population diversity and allow the exploration of areas of the solution space not represented in the initial population, a mutation operator may also be used. Mutation merely consists of randomly changing a function, input or constant in one of the mathematical expressions making up the present population. The randomly selection of genetic operation (crossover or mutation) defines the branch of GP algorithm [4].

In the generation of reproduction loop the probability of each selected expression is proportional to fitness. The innovation of this method - difference between the Genetic Programming and algorithms starts in iteration process from the block of reproduction method selection. Several approaches are available: only the hybridization or mutation operators, hybridization or mutation operators randomized selection, hybridization or mutation operators to perform certain proportions, hybridization or mutation operators adaptive performance, fitness if the population. The dynamics of the function itself will be determining factor in the selection of genetic operators. Particularly, in case of fitness growing role dynamic hybridization is given the priority, closer to the optimum phase the mutation is given priority.

After the initial fitness population, fitness function of each tree is defined and population trees are sorted by means of ascending value or descending fitness function. Depending on the operator: mutation or breeding reproduction is carried out and the two “parents” or only one of the best is selected in the list. The remaining trees will no longer be considered. Then, according to the algorithm “weight coefficients” are calculated for the best trees and the “most hard” blocks or sub tree are showed and choosing (hybridization and mutation) points are defined.

A flowchart of the GP algorithm is shown in Figure 4.

In the case of the operation of hybridization “weight coefficients” are calculated for the second “parent” and the most “light” blocks is showed and chamfered and it is followed by the hybridization of the operation itself. In case mutation “weight coefficients” are calculated or the most “hard” blocks are showed and randomly generated “light” is replaced [5].

The algorithm are performed in two phases: ascending - are calculated according to the levels, sequentially, for each node, according to his relation operator tuple quantity. The second phase in the descending order according to the levels of tree nodes in the left or right subtree values of “weight coefficients. Determining the most “hard” or “light” blocks and crossing point for the hybridization and mutation operations. The result of calculation showed that the number of calculations and the time the fulfillment of the requirements are reduced by using the developed methods. Growing of the system is getting faster and more effective. So this is a new approach in the sphere of Query Optimization. This result will be successfully implemented in the Database management system. The main goal will be reached. The number of calculation will be reduced and the time will be saved. This is the major value of the database.




Fig.4

3. Conclusions

This article discusses the database querying process, which is probably the most studied data mining task. The query processor applies rules which can be based upon mathematical models of the relational algebra expression and tree (heuristics), upon cost estimates of different algorithms applied to operations or upon the semantics within the query and the relations it involves. Selecting the proper rules to apply are the function of the query optimization engine, which can design to process particular relational operation and access path combinations using *genetic programming*, where by recombining relevant sub-trees, it is possible to produce new expressions and to choose the one that is estimated to be the cheapest.

References:

1. Jarke M., Koch J. (1984). Query Optimization in Database Systems. Computing Surveys, Vol.16, No.2.
2. Ioannidis, Y. E. (1996). Query optimization, *ACM Computing Surveys*, vol.28, no.1, pp. 121–123.
3. Koza, J. (1992). Genetic programming: On the programming of computers by means of natural selection, The MIT Press, USA.
4. Koza J.R. (2007). Introduction to Genetic Programming/Tutorial. GECCO-LONDON.
5. wiTaSvili I., mefariSvili b., moTxovnebis optimizacia da genetikuri programirebis modificirebuli algoriTmi, *Jurnali "inteleqti"*, №1(42), aprili, 2012, gv. 122-126.

მონაცემთა ბაზების მოთხოვნათა ოპტიმიზაცია: გენეტიკური პროგრამირების სახლი მიღზომა

ლელა წითაშვილი¹, ბადრი მეფარიშვილი², გულნარა ჯანელიძე²

1. ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მონაცემთა რელაციურ ბაზებში მოთხოვნათა ოპტიმიზაციის პრობლემა. იმპლემენტაციის პროცესში მოთხოვნის ბინარული ხის ყოველი შესაძლო გეგმა ქმნის ე.წ. სიტუაციურ სივრცეს, რომელიც განისაზღვრება $n!$ შესაბამისი განზომილებით, სადაც n ცხრილების რაოდენობაა. თანამედროვე მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, მაგალითად SQL Server ერთ მოთხოვნაში შეიძლება შეიცავდეს 32-მდე ცხრილს. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის შესრულების ვარიაციები $2.6 * 10^{35}$ გეგმის ტოლია, ხოლო აქედან ოპტიმალური გეგმის რეალურ დროში ამორჩევა თვით ზესწრაფი კომპიუტერებისთვისაც შეუძლებელია. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებში არსებული მოთხოვნის ოპტიმიზატორის მიზნობრივი ფუნქციაა ზემოხსენებული განზომილების პირობებში საუკეთესო გეგმის ამორჩევა, რისთვისაც მიზანშეწონილია ახალი, უფრო ეფექტური მეთოდების გამოყენება. სტატიაში განხილულია გენეტიკური ალგორითმების მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც მნიშვნელოვნად სწრაფად ახორციელებს რელაციური ალგებრის ოპერაციათა შესრულების ოპტიმალური თანამიმდევრობის პოვნას.

ОПТИМИЗАЦИЯ ЗАПРОСОВ БАЗ ДАННЫХ: НОВЫЙ ПОДХОД К ГЕНЕТИЧЕСКОМУ ПРОГРАММИРОВАНИЮ

Лела Циташвили¹, Бадри Мепаришвили², Гульнара Джanelidze²

1. Ахалцихский Государственный Университет, Грузия
2. Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматривается одна из актуальнейших проблем управления базами данных, т.н. оптимизация запросов. В процессе имплементации бинарного дерева запроса каждый возможный план создает ситуационное пространство, которое определяется соответственным измерением $n!$ факториала, где n - это количество таблиц. Современные системы управления базами данных, например SQL Server в одном запросе может содержать до 32-х таблиц. В таком случае число вариации выполнения запросов равно $2.6 * 10^{35}$ планов, а выбор оптимального плана в реальном времени не под силу даже сверхбыстрым компьютерам. Целевой функцией оптимизатора запросов в системах управления базами данных является выбор наилучшего плана, для которого целесообразно использование новых, более эффективных методов. В статье рассматривается модифицированный вариант алгоритмов генетического программирования, который значительно быстро осуществляет поиск оптимальной последовательности выполнения операции реляционной алгебры.

**მულტიმოდალური გადაზიდვების მართვის ავტომატიზებული
სისტემის აგება დაპროექტების CASE- და დაპროგრამების
ჰიბრიდული ტექნოლოგიებით**

გიორგი გოგინაიშვილი, გიორგი სურგულაძე, ნინო თოფურია,
ლილი პეტრიაშვილი, გაია სურგულაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება ტვირთების მულტიმოდალური გადაზიდვების მართვის ავტომატიზებული სისტემის მონაცემთა ბაზის დაპროექტების, მისი პროგრამული რეალიზაციის და მომხმარებელთა ინტერფეისების აგების საკითხები დაპროექტების CASE- და დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიებით. კერძოდ, შემოთავაზებულია მულტიმოდალური გადაზიდვების (გემი, რკინიგზა, ავტო- და საჰაერო ტრანსპორტი) საპრობლემო სფეროს კონცეპტუალური სქემები კლიენტის (ტვირთის მფლობელი), ტვირთის (გადაზიდვის ობიექტი) და მიმწოდებლის (გადამზიდავი) ცხრილებით, ობიექტ-როლური და არსთა დამოკიდებულების მოდელირების (ORM/ERM) ინსტრუმენტებით Visual Studio.NET გარემოში და Ms SQL Server პაკეტით. აგებულია მონაცემთა ბაზის განახლების ფუნქციების ინტერფეისი დაპროგრამების (WPF, C#, XAML) ინტეგრირებულ გარემოში.

საკვანძო სიტყვები: მართვის ავტომატიზებული სისტემა. მულტიმოდალური გადაზიდვა. კონცეპტუალური მოდელი. ORM. ERM. მონაცემთა რელაციური ბაზა. დაპროგრამების. ტექნოლოგია.

1. შესავალი

მულტიმოდალური გადაზიდვების პროცესი, რომლის ძირითადი მიზანი ტვირთების ტრანსპორტირებაა მიმწოდებლიდან დამკვეთამდე, არის მომსახურების განაწილებული სისტემა. მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, მიმწოდებელი (Supplier_ID) აგზავნის ტვირთს (Freight_ID) დამკვეთის (Cleint_ID) მისამართზე (Client_Address) [1].

